# საარბიელო

სპორტული გაზეთი  სამშაბათი 5 ივლისი 2005 №150 (2473)  ფასი 50 თეთრი




## ნოდარ ახალკაცი: საქართველოში ჩამოსვლა უფასოა

2



## ალექსანდრე იაშვილი: ბოლო ადილება ნიურნბერგია?

3



## მზერა სინგაპურისკენ

ხვალ სოკ-ი მასპინძელს დაასახელებს

14

# არის ოქრო, არის ბრინჯაო, არის გოლები!

IGNANO SABBIADORO



პაატა მერებაშვილი



რობერტ მშვიდობაძე

იტალიურ ლინიანოში გუშინ ახალგაზრდების ოლიმპიური ფესტივალი დაიწყო. პირველი დღე ქართველებისთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა და ყულაბაში ორი მედალიც ჩაჩხრიალდა. ძიუდოისტებმა ორივე წონით კატეგორიაში კვარცხლბეკს უწიეს. პაატა მერებაშვილი (50კგ) ჩემპიონი გახდა, ხოლო რობერტ მშვიდობაძემ (55 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

იმარჯვა საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმაც. ფოთის კოლხეთელი ირაკლი ძარიასა და თბილისის ამერელი რატი წინამძღვრიშვილის გოლებით ქართველებმა შვეიცარიას საქმე ფაქტობრივად პირველსავე ტაიმში მოუმთავრეს. საბოლოოდ თამაში 2:1 დასრულდა.



შვეიცარიელებს ერთი გოლი ამერელმა რატი წინამძღვრიშვილმა გაუტანა

პირველი წრე გაიარეს ჩოგბურთელებმა ოქსანა კალაშნიკოვამ და ნიკა ქურდაძემ. პირველმა ფრანგ ჟული ერვეს სძლია, ხოლო მეორემ სომეხ აშოტ გევორქიანს.

# ზაბრისკი — პირველი პოინტი

## ტურის მესამე ტური: ამერიკელები




AFP ფოტო



# ნოდარ ახალკაცი: საქართველოში ჩამოსვლა უფასოა

*ქართველებო, დაბრუნდით საქართველოში! ამ საყოველთაო ლოზუნგს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც უერთდება და უცხოეთში მოთამაშე ჩვენს ფეხბურთელებს ქართულ კლუბებში დაბრუნებას უმარტივებს — ფედერაციამ კეთილი ნება გამოიჩინა და შესაძლო რამდენიმე ათას ლარზე უარი თქვა*

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ნოდარ ახალკაცის 2005 წლის 27 ივნისის №129 ბრძანებით, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებისა და ჩვენი ქვეყნის სახელით უცხოურ კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელების საქართველოში დაბრუნების გაადვილების მიზნით, 2005 წლის 1 ივლისიდან გაუქმებულ იქნა შემოსულ საერთაშორისო ტრანსფერების მომსახურებაზე დაწესებული გადასახადები (კერძოდ, უმაღლესი ლიგის კლუბებისთვის — 2000 ლარი, დანარჩენი ლიგის კლუბებისთვის — 1000 ლარი).

აღნიშნული გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს საფეხბურთო კლუბებს დაზოგონ ის სახსრები, რომლებიც დამატებით იხარჯებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ფეხბურთელების დაბრუნების შემთხვევაში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხშირად სატრანსფერო მომსახურების საფასურის გადახდა თავად ფეხბურთელებს უწევდათ, რისი საშუალებაც ყველას არ გააჩნდა. ეს გადასახადი საქართველოში ფეხბურთელების დაბრუნების პროცესში ერთგვარ დამაბრკოლებელ გარემოებად გვევლინებოდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დარწმუნებულია, რომ ეროვნული ჩემპიონატი უნდა გახდეს საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების მასაზრდოებელი წყარო, ხოლო მისი დონის ამაღლება — ქართული ფეხბურთის განვითარების საწინდარი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

# ერევნამდე ყიზილჯამაა
## ლოკომოტივმა ბანანცი არ იცის

**თბილისის** „ლოკომოტივი" ახალი სეზონისთვის მზადებას თურქულ ყიზილჯამაში განაგრძობს. თბილისელები უკვე ერთი კვირაა, იქ არიან და ორი ამხანაგური მატჩიც გამართეს. „ლოკომოტივმა" ჯერ ალავერდაშვილის, კახელიშვილის, ონიანისა და სირბილაძის გოლებით ალბანურ „ტირანას" 4:3 მოუგო, შემდეგ კი აზერბაიჯანულ „ხაზარს" 2:2 ეთამაშა, ისევ კახელიშვილს და სირბილაძეს უყოჩაღიათ.

„ლოკომოტივის" მწვრთნელ ნოდარ აკობიას თურქულ შეკრებაზე 21 ფეხბურთელი ჰყავს. მათ შორის გერმანული „ტრირიდან" წამოსული დავით სირაძე, ფეხბურთს დაბრუნებული გიორგი კიკნაძე და კარგა ხანს უგუნდოდ მყოფი ედიკ საჯაია. ყიზილჯამაში უნდა ჩასულიყო 21 წლის უზბეკი ნახევარმცველი ისლამ ინოგოვიც, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო ის „ლოკომოტივს" თბილისში შეუერთდება. შეკრებაზე არ არის თბილისელთა ბრაზილიელი რამონი, ის თბილისშია და ტრავმას მკურნალობს.

„ლოკომოტივმა" „ხაზართან" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: შეყრილაძე; საჯაია, მახვილაძე, ონიანი; სეთურიძე, კიკნაძე, სირაძე, ფურთუხია; ალავერდაშვილი, სირბილაძე, კახელიშვილი.

— ვერ ვიტყვი, რომ გუნდის ძირითადი შემადგენლობა უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებულია. შეკრებაზე 21 ფეხბურთელია და მწვრთნელი ყველას აძლევს თავის გამოჩენის საშუალებას — გვითხრა „ლოკომოტივის" დირექტორმა ლევან ყიფიანმა — თურქეთამდე გუნდი 10 დღე ლიკანში იყო, სადაც ბიჭებმა ფიზიკური კონდიციები აიმაღლეს, ყიზილჯამაში კი ტექნიკურ-ტაქტიკური ვარჯიშებია. მაგალითად, „ხაზართან" ნოდარ აკობიამ გუნდი 3-4-3 ტაქტიკური სქემით ათამაშა, სხვანაირად იქნება მომდევნო მატჩებისას. მოკლედ, ჯერ ძირითადი შემადგენლობა არ გამოკვეთილა, თუმც ოპტიმალურს მიახლოებული კი არის.



ლევან ყიფიანი „ბანანცს" ფირით არ ენდობა

**— სირაძესთან კონტრაქტი გააფორმეთ?**

— ჯერ არა. სირაძესთან და საჯაიასთან ყველაფერზე შეთანხმებულნი ვართ და კონტრაქტს თბილისში გავაფორმებთ. იქამდე კი მათ სატრანსფერო ფურცლებს მივიღებთ.

**— უზბეკი ფეხბურთელის დამატება უკვე გადაწყვეტილია?**

— ინოგოვი თბილისში შემოგვიერთდება და გავსინჯავთ. უზბეკეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია, საკმაოდ სწრაფი და გონიერი — ასე დაგვიხასიათეს ეს ფეხბურთელი. ვნახოთ, ჯერ უნდა დავრწმუნდეთ, გამოგვადგება თუ არა და კონტრაქტზე მერე დავილაპარაკებთ.

**— უკან როდის ბრუნდებით?**

— ცხრა ივლისს ჩამოვალთ და 13-ში ერევანში, „ბანანცთან" სათამაშოდ გავემგზავრებით.

**— მეტოქეზე ინფორმაცია უკვე შეაგროვეთ?**

— სომხების თამაშის ერთი ფირი კი მივიღეთ, მაგრამ ვეჭვობთ, რომ „ბანანცი" ახლა სულ სხვა გუნდი იქნება, ვიდრე ფირზე ჩანს. სომხურ ფეხბურთზე ზოგად ინფორმაციას უნდა დავეჯერდეთ. მეტოქეზე თითქმის არაფერი ვიცით, თუმც სომხური ფეხბურთის დონის გათვალისწინებით და ჩვენი ფეხბურთელების შემხედვარე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

ამასობაში კი თავისას ამბობს „ბანანცის" პრეზიდენტი სარგის ისრაელიანი:

— სომხებისა და ქართველების დაპირისპირება ყოველთვის საინტერესო და დაძაბული იყო. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრით უკმაყოფილო არ ვარ, შეიძლებოდა უფრო ძლიერი მეტოქეც შეგვხვედროდა. ამ წყვილში ფავორიტად „ბანანცს" ვერ ჩავთვლი, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ თბილისელებთან მოგების არცთუ მცირე შანსი გვაქვს.

თბილისის „ლოკომოტივი" კი სომხებამდე თურქეთში ორ ამხანაგურ მატჩსაც გამართავს — დღეს „დიარბაქირთან", ხუთშაბათს — „ქაისერთან".

**კობა ინასარიძე**

# კადრიორუ, 12 ივლისი

**ჩემპიონთა** ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს თბილისის „დინამო" ტალინში, „ლევადიასთან" 12 ივლისს ითამაშებს. კენჭისყრით, „ლევადია" — „დინამო" 13-ში უნდა გამართულიყო, მაგრამ მეტოქეთა მოლაპარაკების საფუძველზე მატჩი ერთი დღით ადრე შედგება. საქმე ისაა, რომ „ლევადიასა" და ტალინის მეორე კლუბს ტვმკ-ს საერთო, „კადრიორუს" სარბიელი აქვთ, ტვმკ კი 14 ივლისს უეფას თასზე ფინურ „მიუპას" მასპინძლობს. ჰოდა, სტადიონის მოსაწესრიგებლად დრო რომ აღარ იყო, უეფასთან შეთანხმებით „ლევადია" — „დინამო" 12 ივლისისთვის გადმოიტანეს.

თბილისელებმა კი გუშინ გერმანულ-შვეიცარიული შეკრება მოილიეს და დღეს დაბრუნდებიან. ხვალ დაისვენებენ, ზეგ, ალბათ, ტრადიციულ პრესკონფერენციას გამართავენ და „ლევადიამდე" დილმის ბაზაზე ივარჯიშებენ.

**კობა ინასარიძე**

# წინამძღვრიშვილის შვეი-ქარია

**საქართველოს** 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი მოგებით დაიწყო.

კობა ჟორჟიკაშვილის და ლევან მელიქას გაწვრთნილმა გუნდმა შვეიცარიელი თანატოლები 2:1 დაამარცხა.

ქართველები ფოთის „კოლხეთის" თავდამსხმელმა ირაკლი ძარიამ მე-15 წუთზე დააწინაურა. მანამდე 5 წუთით ადრე შვეიცარიელთა მეკარე ამერელი რატი წინამძღვრიშვილის საჯარიმოს გარეთ წაქცევისთვის გააძევეს. სათადარიგო მეკარეს კი ძარიამ ბურთი თავზე გადაუგდო. კაცნაკლულ მეტოქეს 10 წუთში წინამძღვრიშვილმაც გაუტანა შორეულ კუთხეში ძლიერი ცაცით.

პირველ ნახევარში ქართველებმა სხვა ბევრი გამოუყენებელი მომენტი შექმნეს, თამაშის განახლებიდან 10 წუთში კი ერთი გოლი გაუშვეს.

საქართველოს ნაკრები ხვალ ლატვიას შეხვდება, რომელიც დღეს ეთამაშება შვეიცარიას.

ხვალინდელ მატჩში წარმატების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები 8 ივლისს ოქროს მედლებისთვის იბრძოლებს, მისი მეტოქე იტალიას, ფინეთსა და ირლანდიას შორის საუკეთესო გუნდი იქნება.

გუშინ ქართველებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*თევდორაძე, თომაშვილი (ხუმარაშვილი), გვაძაბია, ხიდაშელი, ელბაქიძე, ბენაშვილი, ბუალავა, გოგოხია, ნიკოლაიშვილი (დაუშვილი), ძარია (ჯანელიძე), წინამძღვრიშვილი.*

# თბილისური ქარუსელი: ვინ ბორჯომში, ვინ თურქეთში

**საქართველოს** ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ კი ადრეა, მაგრამ „თბილისის" იერსახე უკვე გამოკვეთილია და ნაკლებად, რომ გუნდს სატურნირო ამბიციები შემორჩეს. თითქოს ზამთარში მომხდარი რეორგანიზაცია არ კმაროდა, კლუბი ვერც ახლა გაექცევა ფეხბურთელების გაყიდვას.

„თბილისის" დამფუძნებელი მამუკა გუგეშაშვილი ამბობს, ამ დღეებში საბოლოოდ გადავწყვეტთ, ვის დავტოვებთ გუნდში და ვის გავუშვებთო. თუმც... ბევრნი უკვე წავიდნენ, ბევრიც ამ დღეებში წავა.

„მესხის გარდა, ალბათ, „ბორჯომში" გავუშვებთ გიორგი ლოლაძესა და ბესიკ მიქიაშვილს. ჯერჯერობით თავს ვიკავებთ შოთა ჯიქიას, თორნიკე აფციაურის, რევაზ გეწაძისა და გიორგი ფოფხაძის გაყიდვისგან, ეს საკითხი ამ დღეებში გადაწყდება, ჯერ საბოლოოდ არ ჩამოვყალიბებულვართ. გვაინტერესებს, რამდენგუნდიანი იქნება უმაღლესი ლიგა და რეალურად შეუძლია თუ არა ფედერაციას ჩემპიონატში სიბინძურეების ალკვეთა" — გვითხრა გუგეშაშვილმა.

გეწაძეც გაურკვევლობაშია — ერთ კვირაში ყველაფერი მეცოდინება, სიტუაციის გარკვევამდე „თბილისი" არ მიშვებსო. რაც შეეხებათ გოგი ფიფიასა და გოჩა ხოჯავას: ფიფია ახლა თურქეთშია ერთ-ერთ იქაურ კლუბთან მოსალაპარაკებლად, 9 ივლისს ამ გუნდის საკონტროლო მატჩში ითამაშებს, 10-ში კი შესაძლოა, კონტრაქტიც გააფორმოს. სავარაუდოდ „გაზიანთეფზეა" ლაპარაკი.

ხოჯავა კი აგენტ მამუკა ჯუღელთან ჩავიდა მოსკოვში, როგორც გაირკვა, მას რუსული კლუბების ვარიანტები აქვს.

**ილია ნანობაშვილი**

**ირლანდია**

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

**დუბლინი 1:0 უოტერფორდი**

**შელბურნი 2:1 სენტ პატრიკსი**

# ბოლო აცილება ნიურნბერგია?

გასულ კვირას „ფრაიბურგმა“ სეზონისწინა შეკრება რომ დაიწყო, აკუნამ ერთი დღით დაიგვიანა, არადა, მას არ სჩვევია უპასუხისმგებლობა და უდისციპლინობა, მისი გული „ფრაიბურგს“ აღარ ეკუთვნის, თუმც „ფრა“, ფინკე, „დრაიზამშტადიონი“ და „იაში“ ალბათ მაინც უყვარს...

იაშვილი 16 წლისაც არ იყო, თბილისის „დინამოში“ რომ ჩარიცხეს, გუნდს მაშინ რევაზ ძოძუაშვილი წვრთნიდა. რამდენიმე თვის შემდეგ აკუნა უკვე შესამჩნევი მოთამაშე გახდა, „დინამოში“ კი 1993-95 წლებში მწვრთნელი ხუთჯერ(!) შეიცვალა, 1995 წლის აპრილში „დინამო“ დავით ყიფიანს მყარად ჩააბარეს, ხოლო იაშვილმა 1994-95 წლების ჩემპიონატის 24 შეხვედრაში ამდენივე გოლი გაიტანა.

ერთი სიტყვით, იაშვილმა იმედი მოიტანა, ყიფიანმა ერთხელ რუს ჟურნალისტებსაც უთხრა, მართალია, „დინამოდან“ ქინქლაძე და არველაძეები წავიდნენ, მაგრამ ჩვენ გვყავს 17 წლის იაშვილი, ვისაც ყველა თამაშში გააქვს გოლიო.

1996-97 წლების სეზონის მეორე ნახევარში „დინამომ“ იაშვილი მეორე ბუნდესლიგის „ლუბეკში“ გაანათხოვრა ექვსი თვით. იმ დროისთვის აკუნას საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 68 გოლი გაეტანა, საქართველოდან წასვლის დრო დაუდგა და დროულადაც გაემგზავრა გერმანიაში. „ლუბეკის“ მაისურით მეორე ბუნდესლიგაში იაშვილმა 15 მატჩში 3 გოლი შეაგდო და ისევ „დინამოში“ დაბრუნდა, რათა საქართველოს საკლუბო ფლაგმანს ევროსარბიელზე ხეირიანად ეთამაშა. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამო“ „ლევერკუზენს“ გადაეყარა და პირველ შეხვედრაში სტუმრად 1:6 დამარცხდა, იაშვილმა კი დიდებული გოლი გაიტანა — მეტოქის საჯარიმო მოედნის წიბოსთან დაბზრიალდა და ცაციათი შორეულ ცხრიანში ჩააბზრიალა ბურთი, რომელიც მისთვის ბუნდესსაგზური გამოდგა — 1997 წლის შემოდგომიდან იაშვილი პირველი ბუნდესლიგის „ფრაიბურგში“ გადავიდა, ხოლო სეზონის მეორე ნახევარში იქ ვლადიკავკაზის „ალანიადან“ ლევან კობიაშვილიც მივიდა.



აკუნას „დინამოს“ და „ლუბეკის“ სკოლა კი ჰქონდა გავლილი, მაგრამ პირველი ბუნდესლიგის ჭაპანი სულ სხვა იყო, იაშვილმა თავის პირველ ბუნდესსეზონში 4 გოლი გაიტანა და მომდევნო ისეთი რიხით დაიწყო, ბუნდესლიგის ბომბარდირთა მარაქაშიც გაერია — თერთმეტი თამაში, ექვსი გოლი და... იაშვილს მუხლმა უმუხთლა — ჯვარედინი იოგები გაუწყდა, ოპერაციისშემდგომი სარეაბილიტაციო პერიოდიც გაიწელა, სრულად გამოჯანმრთელებას ნახევარ წელზე მეტი მოანდომა.

მძიმე ტრავმის შემდეგ „დრაიზამშტადიონმა“ სულ სხვა „იაში“ იხილა, აკუნა აღარ იყო ბომბარდირული ფორვარდი, ის უფრო შეტევისას ბურთის მომგდები, პასის შემსრულებელი და გუნდის გამწევი ძალა იყო.

KEY PLAYER — ეს საერთაშორისო საფეხბურთო ტერმინია, რომლის ქართულად თარგმნა ძალიან ჭირს, ჩვენებურად KEY PLAYER ალბათ საკვანძო მოთამაშეს ნიშნავს და მიუხედავად იმისა, რომ აკუნა ბომბარდირული თვისებებით აღარ გამოირჩეოდა, ის ნამდვილი KEY PLAYER გახდა „ფრაიბურგში“.

**იაში! იაში! ფრაიბურგის „დრაიზამშტადიონზე“ ასე ძალიან ხშირად ყვირიან — ალექსანდრე იაშვილმა „ფრაიბურგში“ შვიდი სეზონი ითამაშა, ბოლო წლები სულაც მხრებით ათრევდა გუნდს და გერმანიის იმ კუნჭულში, სადაც ელზასური ღვინო ლუდსა და შაშხს ამარცხებს, ნამეტანი გაიხანგრძლივა ყოფნა.**

**გასულ სეზონში „ფრაიბურგი“ ერთხელაც გავარდა ბუნდესლიგიდან და იაშვილმა საქვეყნოდ თქვა, მორჩა, მეორე ბუნდესლიგაში აღარ ვითამაშებო. მაგრამ მან შარშან „ფრაიბურგთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, კვლავაც ფოლკერ ფინკეს გუნდს ეკუთვნის მიუხედავად იმისა, რომ იქ თამაში აღარ სურს — თუ არაფერი შეიცვალა, აკუნას მერვე ფრაიბურგული სეზონი ელის**

...ფოლკერ ფინკე „ფრაიბურგისთვის“ დაახლოებით ისაა, რაც გირუ იყო „ოსერისთვის“, დაახლოებით იმიტომ, რომ ფინკეს „ფრაიბურგს“ არაფერი მოუგია პირველი ბუნდესლიგის და უეფას თასის საგზურის გარდა, მაგრამ ფინკემ მოიგო კლუბი, „ფრაიბურგი“, სადაც რაგინდარა რჯულის და მოდგმის ფეხბურთელებს უყრის თავს და სიმპათიურ, სხვათაგან განსხვავებულ ფეხბურთს ათამაშებს, სადაც იაშვილი ძალიან სპეციფიკურ შემტევად ჩამოყალიბდა.

...2000 წელს საქართველოს ეროვნული ნაკრები ხელმეორედ ჩააბარეს დავით ყიფიანს და რევაზ ძოძუაშვილს. მათ იაშვილს შლაგბაუმი ჩამოუწიეს, — ნაკრებში მაშინ რამდენიმე საეჭვო რეპუტაციის ფეხბურთელისთვის ჩნდებოდა ადგილი ძირითადში, იაშვილისთვის კი არა. იმ პერიოდში აკუნას პირადი ტრაგედიაც შეემთხვა — მამა გარდაეცვალა, მაგრამ „იაში“ ვერაფერმა დათრგუნა — ყიფიანი და ძოძუაშვილი შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე დაითხოვეს ნაკრებიდან, გუნდი ალექსანდრე ჩივაძეს მიანდეს, ციკლის ბოლო სამი თამაშიდან ნაკრებმა ორი მოიგო და ერთი ფრედ ითამაშა, იაშვილმა სამ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა.

მომდევნო შესარჩევი ნაკრებმა კვლავ წარუმატებლად დაიწყო და გააგრძელა, ციკლის ბოლოს გუნდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ჩაიბარა, ვინც იაშვილი ფაქტობრივად გამთამაშებლად გაამწესა — აკუნამ ჩინებულად ითამაშა თბილისში ალბანეთთან (3:0) და მოსკოვში რუსეთთან წაგებულ მატჩშიც (1:3) გამორჩეული იყო, სწორედ მისი გოლით დავწინაურდით, მაგრამ...

2002-03 წლების სეზონი „ფრაიბურგმა“ მეორე ბუნდესლიგაში გაატარა, თუმც წარმატებით — ისევ გერმანიის საუკეთესო ლიგაში ამოჰყო თავი და იქიდან რომ არ გავარდა, ყველაზე მეტად იაშვილის და ლევან ცქიტიშვილის ნაყოფიერ თამაშს უნდა უმადლოდეს. აკუნამ საგოლე პასების გარდა იმ ბუნდესლიგურ სეზონში 9 გოლი გაიტანა, ხოლო ქართველმა ჟურნალისტებმა 2003-04 წლების საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

...და რატომ დააგვიანა იაშვილმა წინა კვირას „ფრაის“ შეკრებაზე? 27 წლის ქართველი პირველ ბუნდესლიგაში დარჩენილ „ნიურნბერგს“ სურდა, უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკება „ნიურნბერგს“, იაშვილის აგენტსა და „ფრაიბურგს“ შორის, მაგრამ აქედან ჯერ არაფერი გამოვიდა, აკუნა კვლავ იქაა, სადაც აღარ უნდა თამაში.

**დავით თავართქილაძე**



ეროვნულ ნაკრებში ალექსანდრე იაშვილმა 25 კეპი და 9 გოლი მოიხვეჭა



[illegible] ფოტო

# ქართული ქარიშხალი რკინიგზაზე
## მალხაზის დახაზულები


მალხაზ ასათიანს „რუსული პირამიდა“ კარგად წაუვიდა


დავით მუჯირმა „ვოლფსბურგთან“ იგოლავა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ტერეკი 4:0 | 72 | 1 გოლი, 2 საგოლე პასი, შეცვალეს | 13 | 1 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | ტერეკი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 1 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | შ | ტერეკი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | ტერეკი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | ტერეკი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | ტომი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 11 | 0 | 13 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | ტომი 0:0 | 0 | | 5 | 0 | 13 |
| ლადო ბურდული | ალანია | ს | ტომი 0:0 | 0 | სათადარიგო | 7 | 0 | 13 |
| დავით კვირკველია | ალანია | ს | ტომი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 9 | 0 | 13 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | ს | ტომი 0:0 | 90 | | 7 | 0 | 13 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | ს | ტომი 0:0 | 90 | | 6 | 0 | 13 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ტორპედო 1:1 | 0 | | 9 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | ავანგარდი 2:0 | 90 | | 8 | 0 | 5 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | შ | ავანგარდი 2:0 | 0 | | 5 | 0 | 5 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | ორიოლი 3:2 | 0 | | 11 | 0 | 2 |
| კახა მყავანაძე | ანჟი | შ | დინამო (მახ) 1:1 | 90 | | 15 | 0 | 4 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | შ | ფაკელი 2:1 | 90 | | 7 | 0 | 19 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | ლიპეცკი 4:3 | 34 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 0 | 20 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | ს | ურალი 1:2 | 90 | | 19 | 2 | 18 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | შ | პეტროტრესტი 5:0 | 0 | | 8 | 0 | 10 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 12 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 12 | 0 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 13 | 0 | 2 |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | შ | იურმალა 3:1 | 71 | შეცვალეს, გააფრთხილეს | 11 | 0 | 1 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | შ | ვენტა 5:1 | 0 | | 11 | 2 | 3 |
| გიორგი მოდებაძე | ვენტსპილსი | შ | ვენტა 5:1 | 0 | | 7 | 1 | 3 |
| **ლატვია. თასი. მეოთხედფინალი** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | რიგა 2:1 (დამ.დრო) | 55 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | რიგა 2:1 (დამ.დრო) | 120 | გააფრთხილეს | | | |
| ზაალ ელიავა | სკონტო | ს | რიგა 2:1 (დამ.დრო) | 120 | | | | |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | ს | დინაბურგი 2:1 | 90 | | | | |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ს | იურმალა 2:0 | 90 | | | | |
| გიორგი მოდებაძე | ვენტსპილსი | ს | იურმალა 2:0 | 6 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | შ | ატირაუ 1:0 | 80 | შეცვალეს | 13 | 2 | 9 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | შ | ალმათი 1:1 | 90 | | 12 | 0 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

**მალხაზ ასათიანი!** ძახილის ნიშანი იმიტომ დავსვით, რომ მახომ, რასაც მოარჯულაო, ჰქვია, ის დამართა აუტსაიდერ „ტერეკს“. როგორც იქნა, რუსული პრემიერლიგის პირველი „ქართული“ გოლიც გავიდა, ასათიანმა ხოხლოვის პასის შემდეგ გაუტანა გროზნოელებს. და ისე როგორ იქნებოდა, ჩვენიანი ტურის სიმბოლურ ნაკრებში (მეექვსედ!) არ მოხვედრილიყო. რაც მთავარია, მალხაზი ტურის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. და მარტო ეს? ასათიანმა ლოსკოვის არყოფნაში გამთამაშებლად ითამაშა, „ლოკომოტივის“ თავკაცმა ეშტრეკოვმა კი ნამატჩევს თქვა, მგონი, სწორედ აქაა ქართველის ნამდვილი ადგილიო. ასათიანის გუნდი კვლავაც სოლიდურად ლიდერობს.

ახლა ის ვთქვათ, რა მოხდა „ლოკომოტივ“ — „ტერეკის“ დუბლების მატჩისას. რკინიგზელები 1:3-ს აგებდნენ, მაგრამ ბოლო 10 წუთში ჯერ გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ, მერე მათე ღვინიანიძემ, მსაჯის წამატებულზე კი მიხეილ აშვეთიამ თითო გოლი მიითვალეს. ამაზე იტყვიან, NO COMMENT! მოკლედ, ჩვენიანებმა რკინიგზაზე გაილაღეს.

ქართველმრავალი „ალანია“ უშუალო კონკურენტ „ტომთან“ სტუმრად ფრეს გამორჩა. ჩვენიანებს მაინცდამაინც არ გამოუდვიათ თავი.

ლატვიაში კვლავ ექსპრესივით მიჰქრის ლევან მიქაძის „მეტალურგი“, რომელმაც წინა კვირაში ორი კარგი საქმე გააკეთა — ჩემპიონატშიც განიმტკიცა ლიდერობა და თასის ნახევარფინალშიც გავიდა. თასის ამ ეტაპზეა მენთეშაშვილ-ელიავა-კორღალიძის „სკონტო,“ მაგრამ რიგელებმა ცხრაპირი ოფლი ღვარეს თანაქალაქელ „რიგას“ წასაქცევად.

ცხრილში არაა ნაჩვენები, მაგრამ ისე როგორ იქნება, შტურმელი დავით მუჯირის ყოჩაღობას წავუყრუოთ. ახლადგამოჯანმრთელებულმა „მუმუმ“ ინტერტოტოზე სტუმრად „ვოლფსბურგს“ 74-ე წუთზე გამთანაბრებელი გოლი შეუგდო, არადა, მუჯირი რამდენიმე წუთის შესული იყო მინდორზე.

**ილია ნანობაშვილი**


### ყურადღება

*აღმოსავლეთ საქართველოს – კახეთის, ქვემო ქართლის რეგიონების – და თბილისის საფეხბურთო კლუბებს, რომელთაც სურთ, მიიღონ მონაწილეობა 2005-2006 წლების საქართველოს რეგიონულ ჩემპიონატში, ვთხოვთ, მოავლინონ წარმომადგენლები აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფისში ორგანიზაციული საკითხების შესათანხმებლად 13 ივლისს 13.00 საათზე.*

*მისამართი: თბილისი, შ. იამანიძის №5.*

*საკონტაქტო ტელეფონები: 94-29-39. 35-60-12*

*აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია*



რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80


# გახოკიძე უკვე გუნდთანაა
## 13-სთვის ვემზადები



გერმანია, შოტლანდია, ჰოლანდია... გუშინ ზოგ ევროპულ ქვეყანაში უმაღლესი ლიგის გუნდებს სეზონისწინა შეკრება დაეწყოთ, მათ შორის, გოგა გახოკიძის „ტვენტესაც“. მოგეხსენებათ, გახოკიძე მარტში დაშავდა, ფეხის ზედა კუნთი დაუზიანდა და მას მერე გუნდთან ერთად არ უვარჯიშია.

— უკეთესად ვარ, დღეს სეზონისწინა შეკრების პირველი ვარჯიში გვქონდა და გუნდთან ერთად მეც ვივარჯიშე. მსუბუქად დავიტვირთეთ და არაფერს შევუწუხებივარ. ხვალიდან გუნდი ორჯერად წვრთნაზე გადადის, მაგრამ მე ჯერჯერობით დღეში მხოლოდ ერთხელ ვივარჯიშებ, გუნდის ხელმძღვანელობამაც მითხრა, ასე აჯობებსო. უცხოური შეკრება არ გვექნება, თუმც ენსხედედან ჰოლანდიის სხვა ადგილას მაინც წავალთ ერთი კვირით, ჩემპიონატი კი 13 აგვისტოს იწყება და იმედი მაქვს, რომ იმ დროისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები — გვითხრა გუშინ გახოკიძემ.

**დავით თავართქილაძე**



რაფაელ ბენიტესის და სტივენ ჯერარდის შეხლამ შესაძლოა, ამ უკანასკნელის „ლივერპულიდან“ წასვლა დააჩქაროს

# იდიოტი ხომ არ გგონივართ?!

## ჯერარდი ბენიტესს ეჩხუბა

**ამდენი** ხნის ლოდინი წყალში ჩაიყარა: სტივენ ჯერარდი ამტკიცებს, რომ „ლივერპულის“ უფროსობა მის გუნდიდან გაძევებას ცდილობს. მოლაპარაკებები ფეხბურთელსა და უფროსობას შორის აღარ იქნება, ანუ სტივს ახალი კონტრაქტი „ლივერპულთან“ აღარ ექნება, ერთ-ერთი ბოლო შეხვედრისას ჯერარდს და მენეჯერ რაფა ბენიტესს ჩხუბი მოუვიდათ და „ლივერპულის“ კაპიტანს ერთადერთი გამოსავალი დარჩა — „ენფილდის“ უკანა კარი.

ჯერარდი ისედაც უკმაყოფილო იყო იმით, რომ „ლივერპული“ კონტრაქტის განახლებაზე მოლაპარაკების დაწყებას აჭიანურებდა. ფეხბურთელს აღარ უნდოდა ძველი კონტრაქტით მუშაობა, რომლის მიხედვითაც, კიდევ ორ წელიწადს უნდა ყოფილიყო კლუბში.

ამასობაში კი „ლივერპული“ აცხადებს, რომ ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებს.

სტივენ ჯერარდი ყოველთვის ამბობდა, რომ მშობლიურ გუნდში სურს დარჩენა, ოღონდ ახალი კონტრაქტით. „ლივერპულის“ უფროსობამ კი იმდენი ქნა, რომ ამ ახალ კონტრაქტზე ლაპარაკი თანდათან გადადო და ახლა, როცა გუნდს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო მატჩამდე 10 დღეღა რჩება, ძნელი წარმოსადგენია, რომ კაპიტანს კონტრაქტი განუახლონ.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ „ჩელსისა“ და „რეალს“ ჯერარდის გადაბირება სურთ. ფეხბურთელის ფასი ახლა ძალიან სარფიანია, ამიტომ კლუბისთვის აქაც ბევრი საჭოჭმანოა. ყველაფერი ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში გაირკვევა. თუკი ჯერარდი უელსურ „ლანსანტფრეიდის“ წინააღმდეგ ითამაშებს, მაშინ მომავალ სეზონში სხვა კლუბის ღირსებას ჩემპიონთა ლიგაში ვეღარ დაიცავს.

„იდიოტი ხომ არ გგონივართ“ — სწორედ ასე უთქვამს „ენფილდის“ ბოსებისთვის სტივენ ჯერარდს, რომელიც ახალ ხელფასს კვირაში 60 ათას გირვანქას ითხოვდა.

ამასობაში კი „ლივერპულს“ ახალი კაცი ჰყავს — 28 წლის ჰოლანდიელმა ბუდევინ ზენდენმა, რომელიც აქამდე „მიდლსბროში“ თამაშობდა, „ჩელსიდან“ ქირავნობის პირობით, უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება. გუშინ მედიასაც წარუდგინეს, როგორც ახალი „ენფილდელი“.

**ირაკლი ბამყრელიძე**

# ჯიგარი ტაქტიკით

## მაურინიუს ინგლისი ჰგონია

**„ჩელსის“** მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს ინგლისის ნაკრები მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ფავორიტად მიაჩნია: „ინგლისელებს ჰყავთ ბრწყინვალე ფეხბურთელები, კარგი მწვრთნელი და გულშემატკივრები. ჯონ ტერი, სოლ კემპბელი და რიო ფერდინანდი საუკეთესო მცველები არიან, ფრენკ ლამპარდი, სტივენ ჯერარდი და უეინ რუნი — საუცხოო შემტევები. სვენ-გორან ერიკსონს მეკარეებს შორის არჩევაც შეუძლია — რობინსონი ან ჯეიმსი. ჯეიმსმა ისე თუ ითამაშა, როგორც „ჩელსის“ წინააღმდეგ, მას ვერავინ შეედრება“.



გარდა ამისა, ჟოზე მაურინიუმ ჩელსელთა სატრანსფერო პოლიტიკაზე ისაუბრა: „კლუბმა 100 მილიონ გირვანქამდე უკვე დახარჯა, ამიტომ ბიუჯეტი ნელ-ნელა შემცირდება. მე ხუთწლიანი კონტრაქტი მაქვს და ვფიქრობ, რომ ყოველი მომდევნო სეზონის წინ სულ უფრო ნაკლებ მოთამაშეს შევიძენთ. საკუთარ თავზე ვთქვი, განსაკუთრებული ვარ-მეთქი, მაგრამ ზოგმა ეს არასწორად გაიგო. მაგალითად, შარშან „ჩელსიში“ მოსვლისთანავე განვაცხადე, რომ დებიუტშივე ჩემპიონობას ვაპირებდით. ამით „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ არ დამიმცირებია. მე გამოვაცოცხლე კლუბის თანამშრომლები და ფეხბურთელები. ცოტა მკაცრიც ვიყავი, მაგრამ ეს აუცილებელია. ფეხბურთელებს ვუთხარი, თქვენ უმაღლეს კლასში დარწმუნებული ვარ, თუმც „ჩელსის“ პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა არასოდეს მოუგია. ამიტომ სანამ ჯილდოს არ მოიგებთ, თქვენი უმაღლესკლასელობა არაფერს ნიშნავს-მეთქი. ისინი დაფიქრდნენ და ყველაფერი კარგად გაიგეს. ეგებ გავრისკე კიდეც, მაგრამ საქმეს ასე სჭირდებოდა. პირველი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ყველა ჩემს ტალღაზე მოვმართე. როგორც კი წესებს დაემორჩილნენ, გუნდიც გაჩნდა. ისიც უნდა ვთქვა, რომ გამიმართლა, რადგან ფრენკ ლამპარდის, ჯონ ტერისა და კლოდ მაკელელეს დონის ფეხბურთელები მყავს. ისინი სამაგალითოები არიან და მათ ნებისმიერი კლუბი ინატრებდა“.

ჟოზე მაურინიუმ აღნიშნა, ინგლისში ჩემი გადმოსვლა პრემიერლიგურმა ფეხბურთმა განაპირობაო: „სერია A-ში მთავარი ტაქტიკაა, პრიმერადივიზიონში — ტექნიკა, ხოლო პრემიერლიგაში ჯიგარი. აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ინგლისური ჯიგარი ჩემს ტაქტიკურ სქემებთან შემეჯვარებინა და, როგორც ხედავთ, კარგად გამოვიდა. ბევრი მტერი კი გამიჩნდა „ჩელსის“ სათამაშო ყაიდის გამო, მაგრამ მაინც საუკეთესო გუნდი ვართ, რადგან პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი ქულა მოვაგროვეთ“.

**გაჟა ხუციშვილი**

# ცინიკური ამბავი

## კრესპო ტრეზეგეს ხურდა გამოვიდა

**არგენტინელი** ერნან კრესპო ამ ზაფხულს დიდ გაწამაწიაშია: ოფიციალურად „ჩელსის“ ფეხბურთელია, მაგრამ ლონდონელებს „მილანში“ ჰყავდათ გაქირავებული. ვინაიდან ქირაობის ვადა სეზონის ბოლოს გავიდა, წესით კრესპო ინგლისის ჩემპიონს უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ არ უნდა, მილანელობა დაუჩემებია.. თავის მხრივ, არც „ჩელსი“ იხევს უკან, მაღალი კლასის ახალი ფორვარდი ვერ იშოვნა და ჩემი კრესპო ჩემთანო, იძახის. მოკლედ, გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა — კლუბი არ უშვებს ფეხბურთელს, რომელსაც ამ კლუბში თამაში არ უნდა. გაუგებარია ისიც, კაცი როგორ უნდა აიძულო, ფეხბურთი მონდომებით ითამაშოს. მოკლედ, რთული ისტორიაა, რომლის საკმაოდ ცინიკური გაგრძელებაც „ჩელსიმ“ ასე მოიფიქრა: კარგი, არ დავიტოვებ თუ არ უნდა, მაგრამ „მილანის“ კონკურენტს, „იუვენტუსს“ მივყიდიო.

თუმცა საქმე მარტო ცინიზმში არ არის. უფრო სწორად, ცინიზმი ამ შემთხვევაში სულაც არ არის მთავარი, ცინიზმი უნებლიედ გამოვიდა, მთავარი კი ის გახლავთ, რომ კრესპოსგან დამოუკიდებლად, „ჩელსი“ „იუვენტუსს“ დავიდ ტრეზეგეზე ევაჭრება და ამ ვაჭრობა ვაჭრობაში გაჩნდა სატრანსფერო კომბინაციაში კრესპოს ჩართვის ვარიანტიც. ერთი სიტყვით, არგენტინელი ტრეზეგეს ხურდა გამოვიდა, რაც ასევე შეიცავს ცინიზმის ელემენტს.

მაგრამ ფეხბურთი ბიზნესია, ბიზნესი კი ოხერი რამაა... „მილანს“ ასეთი იდეა მოსვლია თავში: თუ „ჩელსი“ კრესპოს თავისთვის დაიტოვებს ან „იუვენტუსს“ მიჰყიდის, ერთი სიტყვით მე არ დამიბრუნებს, მაშინ ავდგები და ჩემს თანაქალაქელ მტერს, „ინტერს“ კრისტიან ვიერიზე დაველაპარაკებიო მოგეხსენებათ, კრისტიან ვიერი „ინტერიდან“ მიდის და იგი სავარაუდოდ, „იუვენტუსს“ უნდა ეყიდა.

და ბოლოს, „მილანის“ კიდევ ერთ თავდამსხმელზე, დანიელ იონ დალ ტომასონზე: მიუხედავად იმისა, რომ მისი „შავ-წითელი“ გუნდი ცალკე კრესპოს დაბრუნებას ლამობს და ცალკე „პარმადან“ ალბერტო ჯილარდინოს გადაყვანას ეშურება. ტომასონი ცდილობს არსად წავიდეს. არადა, მას ეპატიჟებიან „ლიონი“ „ლივერპული“ და „ევერტონი“.

„მილანში მინდა დარჩენა — უთხრა დანიელმა „გაძეტა დელო სპორტს“ — არც ერთი იმ გუნდთაგანი, რომელიც ჩემს შეძენას ცდილობს, „მილანის“ წონის და მნიშვნელობის არ არის. მართალია, ისინი ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობენ და შესაბამისად, დიდი ღირსანი არიან, მაგრამ რად უნდა მეტკიცება იმას, რომ „მილანი“ განვითარების სხვა საფეხურზეა. მოკლედ, მომავლის წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ ამწუთას ჩემი პასუხია არა“.

**პაპუნა კედია**





გაცვლა: ერნან კრესპო „იუვენტუსში“, დავიდ ტრეზეგე „ჩელსიში“

# მოიესი ვალენსიაში



დევიდ მოიესი „ვალენსიას“ ფეხბურთელებით მოიხიბლა

**ლივერპულის** „ევერტონი“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება და შემადგენლობის გაძლიერებას ეშურება. ევერტონელთა თავკაც დევიდ მოიესს „ვალენსიას“ ორი ფეხბურთელის — მოჰამედ ლამინ სისოკოსა და ემილიანო მორეტის — გადაბირება მოუწადინებია, რომლებიც თავის დროზე, „ვალენსიას“ მწვრთნელობისას, რაფაელ ბენიტესმა იყიდა.

მალის ნაკრების ნახევარმცველი სისოკო, ისევე როგორც იტალიელი მორეტი, რაფა ბენიტესმა 2003 წლის ზაფხულში შეიძინა შესაბამისად, „ოსერიდან“ და „პარმადან“. ორივე ფეხბურთელის სანაცვლოდ „ევერტონმა“ შვიდი მილიონ 400 ათასი ევრო გაამზადა.

„ვადასტურებ, რომ „ვალენსიასთან“ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. მეტის თქმა აღარ მსურს, თუმც ვიმედოვნებ, ეს გარიგება შედგება“ — განაცხადა დევიდ მოიესმა.

ჯერ კიდევ მაისში მოჰამედ ლამინ სისოკოს მომავალს „ლივერპულს“ უკავშირებდნენ, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. მალელი ნახევარმცველი „ვალენსიას“ „ოსერიდან“ ერთი მილიონი ევროს სანაცვლოდ ერგო.

„ვალენსიაში“ მცველად მივედი, მაგრამ ბენიტესმა ნახევარმცველი გამხადა“ — აღნიშნა სისოკომ. რაც შეეხება ემილიანო მორეტის, ის მარცხენა მცველია, რომელსაც ცენტრში თამაშიც შეუძლია.

**გაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფული ან სერია
## ლოდო პეტრუჩის შეღავათი



ალესანდრო გაუჩი

**რა-რა** და, საქართველოში ფინანსური პრობლემები რას ნიშნავს, ყველას ძალიან კარგად ესმის. ამიტომაც, ეს პატარა წერილი-ინფორმაცია სრულიად გასაგებ საკითხს ეხება და ყოველგვარი შესავლის გარეშე პირდაპირ დავიწყებთ: „პერუჯა" სერია A-ში ხომ ვერ დაბრუნდა და მეტიც, უფულობის გამო შესაძლოა, სერია C1-ში ამოჰყოს თავი. ერთი სიტყვით, კლუბს ჯერ რეგისტრაცია არ გაუვლია და ფონდებს ეძებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ძალიან ცუდად წაუვა საქმე.

პრეზიდენტი ალესანდრო გაუჩი: „იმედი მაქვს, უახლოეს დღეებში 10-12 მილიონს ვიშოვნი. სამწუხაროდ, ტექნიკური სირთულეების გამო ბოლო ვადამდე ყველა პირობის დაკმაყოფილება ვერ მოვასწარით, მაგრამ მეორე მხრივ ისიც არ მინდა, ჩემი სიტყვები ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს თანხას გარანტირებულად ვშოულობ. გულშემატკივარს არ მოვატყუებ, მდგომარეობა მართლაც სავალალოა. ვიცოდი, რა და როგორ ხდებოდა. ვიცოდი, თანხის შეტანის ბოლო ვადა რომ გადიოდა და სწორედ ამიტომ შემოვირბინე მთელი იტალია თანხის საშოვნელად, მაგრამ ვადაში არაფერი გამომივიდა".

ალესანდრო გაუჩი „პერუჯას" ყოფილი და ცნობილი პრეზიდენტის ლუჩანო გაუჩის ვაჟი გახლავთ, რომელსაც ერთადერთ იმედად ლიგის შეფების მოწყალება და მისთვის ბოლო ვადის ცოტათი გადაწევალა დარჩენია.

„ჩვენი კრიზისი ბევრმა ერთმანეთისგან დამოუკიდებელმა მიზეზმა გამოიწვია — განაგრძო გაუჩი უმცროსმა — კერძოდ, გაკოტრდა საკაბელო-ციფრულ ტელეტრანსლაციათა კომპანია „ჯოკო კალჩო", ამას ჩვენი გაკარდნა და იანვარში კრის ობოდოს, ჯეი ბოტროიდის და ჟელკო კალაჩის გაყიდვა დაემატა, რამაც ერთობლივად მიგვიყვანა დღევანდელ დღემდე".

და კიდევ, „პერუჯასთან" ერთად „ტორინომაც" ჩაიგდო თავი გასაჭირში. 99 წლის „ტოროს" 9 ივლისამდე 35 მილიონი დოლარი აქვს საშოვნელი, რათა სერია A-ში ძლივს დაბრუნებული, ისევ სადღაც ჯანდაბის ფსკერზე არ აღმოჩნდეს. შეგახსენებთ, რომ „ტორინო" სწორედ ზემოხსენებული „პერუჯას" ძლევამ გადაიყვანა „უმაღლეს სერიაში", მაგრამ ახლა გაკოტრების პირასაა.

შეგახსენებთ „ფიორენტინას" რამდენიმე წლის წინანდელ ისტორიასაც, როდესაც ეს გუნდი გაკოტრდა, შემდეგ იურიდიულად გაფორმდა, როგორც უკვე სხვა, სრულიად ახალი ერთეული და ისე დაიწყო ხელახალი აღმასვლა სერია C2-დან, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა. საქმე ისაა, რომ გასულ სეზონში იტალიაში ამოქმედდა ეგრეთწოდებული ლოდო პეტრუჩის კანონი, რომლის თანახმადაც, საბრალო „ფიორენტინასგან" განსხვავებით, ამიერიდან მის მდგომარეობაში ჩავარდნილ გუნდს მხოლოდ და მხოლოდ ერთი საფეხურით დააქვეითებენ.

იმ შემთხვევაში, თუ იტალიის შვიდგზის ჩემპიონი „ტორინო" საჭირო თანხას ვერ იშოვნის, მაშინ მის ადგილს სერია A-ში დაიკავებს „ბოლონია", „ტრევიზო" ან „ასკოლი".

„თუ სერია A-ში სათამაშოდ ჩვენ დაგვიძახებენ, დავთანხმდებით, რადგან ფინანსურადაც სტაბილურნი ვართ და სპორტული თვალსაზრისითაც მზად ვგრძნობთ თავს" — განაცხადა „ტრევიზოს" პრეზიდენტმა სეტენმა.

„ასკოლის" პატრონი რობერტო ბენინი: „ჩვენ გაფაციცებულნი ვადევნებთ თვალს მიმდინარე ამბებს და მზად ვართ, ვითარების რაგინდარა მიმართულებით შეცვლისთვის.

**პაატა ძიდია**




# კეთროვანი მესი ხელსაწმენდი ქალალდიდან
## რაო? მარადონას მემკვიდრე გამოუჩნდაო

*1994-ში დიეგო მარადონამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნიგერიასთან გატანილი გოლით და დოპინგ-სკანდალით სანაკრებო კარიერა დაასრულა. თერთმეტი წლის შემდეგ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, ჰოლანდიაში, გაუჩოებმა ოქრო მოიგეს — ფინალში ნიგერია 2:1 დაამარცხეს, მაგრამ მთავარი ეს არაა, რადგან 20-წლამდელმა არგენტინელებმა ახალგაზრდებში უკვე მეხუთედ იმარჯვეს. მთავარი ის არის, რომ ამ ტურნირზე იმ ლეო მესიმ გაიბრწყინა, რომელსაც მარადონობას უწინასწარმეტყველებენ*

**ამას წინათ** დიეგო სიმეონემ თქვა, არგენტინელებს დიდებული ფეხბურთელები ჰყავთ, ბრაზილიელებს კი — ვარსკვლავებიო. არგენტინას ახლა საკუთარი ვარსკვლავბიჭი გამოუჩნდა — ლეო მესი. 18 წლის ყმაწვილკაცმა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი პირადად მოიგო, ისევე, როგორც დიეგო მარადონამ 1986-ში.

არგენტინელმა ახალგაზრდებმა ჰოლანდიაში ოთხი მატჩი (კოლუმბიასთან, ესპანეთთან, ბრაზილიასთან და ნიგერიასთან) ბოლო წუთებზე შემობრუნეს სათავისოდ და ოთხივეში მესიმ ითამაშა მთავარი როლი.

ამ ბიჭს ფეხბურთელის აღნაგობაც კი არა აქვს. კაცი იფიქრებს, ამან რა უნდა გააკეთოსო, მაგრამ ბურთის მიღებისთანავე რწმუნდებით, რომ არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონია. ამოუცნობია და ვერ მიხვდებით, მომდევნო წამს რას გააკეთებს.

ესპანელი 20-წლამდელების თავკაც ინაკი საესს უთქვამს, რასაც ის მოედანზე მყოფი ხედავს, სხვები მხოლოდ ტრიბუნიდან თუ შეამჩნევენო.

საინტერესოა ისიც, თუ როგორ მოხვდა ლეო მესი „ბარსელონაში". 13 წლისა, ესპანეთში სამკურნალოდ ჩავიდა. ჰორმონალური პრობლემები აწუხებდა და მისი ძვლების ზრდა შეფერხდა. ბარსელონელებს ვიღაცამ უთხრა, ძალიან ნიჭიერი ბავშვია და ეგებ ნახოთო. მესის სანახავად კარლოს რექსაჩი მისულა და იგიც მოედანზე უნახავს: „ნახევარ წუთში მივხვდი, რომ უნიჭიერესი იყო და პირველი კონტრაქტი სიმბოლურად ხელსაწმენდ ქალალდზე გავაფორმეთ".

„ბარსელონაში" მისულ ლეო მესის ესპანეთის 16-წლამდელთა ნაკრებში თამაში, ანუ ფაქტობრივად, ქვეყნის მოქალაქეობა შესთავაზეს, მაგრამ იუარა: „მე „კეთროვანი" არგენტინელი ვარ როსარიოდან. ესპანელი ვერ გავხდები. კეთროვანებს კი „ნიუელს ოლდ ბოისის" ქომაგებს ეძახიან.

ახლა უკვე შეიძლება, რომ ლეო მესი არგენტინის მთავარ ნაკრებში მოხვდეს, თუმც გამთამაშებლის ადგილი ხუან რომან რიკელმემ უკვე დაიკავა. კონფედერაციის თასზე რიკელმეს კარგი თამაშის მიუხედავად, ხოსე პეკერმანი ვილიარეალელით მთლად კმაყოფილი არაა და მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ლეო მესის ალბათ შანსს მისცემს.

**გაგა ხუციშვილი**

# მასწავლებელი მადრიდიდან
## ლუშემბურგო ყოფილ შეგირდს ურჩევს



რობინიო „სანტოსში" არ ივარჯიშებს

**მადრიდის** „რეალის" მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ განაცხადა, რობინიო ჩემზე უკეთეს მასწავლებელს ვერ ნახავსო.

„ჩვენთან თუ გადმოვა, ნაცნობი მწვრთნელი დახვდება, რომელსაც მასთან ადრეც უმუშავია და სხვებზე კარგად იცნობს. ეს იდეალური ვარიანტი იქნება რობინიოსთვის" — აღნიშნა მადრიდელთა ბრაზილიელმა თავკაცმა.

სან პაულუში მყოფმა ლუშემბურგომ განაგრძო: „ძალიან მსურს, რომ რობინიო მადრიდის „რეალში" აღმოჩნდეს, რადგან ის ძალიან ტექნიკური ფეხბურთელია, მაგრამ ჯერჯერობით გარიგება არ შემდგარა. „რეალი" პირდაპირ დაუკავშირდა „სანტოსს" და მისმა პრეზიდენტმა მარსელო ტეიშეირამ ახლა ოფიციალური განცხადება უნდა გააკეთოს თავისი ფეხბურთელის თაობაზე. ან მოგვყიდის, ან არა, თუმც გარწმუნებთ, რომ პირადად მე რობინიოსთან არ მისაუბრია, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებენ. მარსელო ტეიშეირას ადგილზე ალბათ იგივეს გავაკეთებდი, ანუ შევეცდებოდი, რობინიო მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატამდე შემენარჩუნებინა, მაგრამ რაკი მადრიდის „რეალის" მწვრთნელი ვარ, სხვაგვარად ვფიქრობ".

ბოლოს კი გეტყვით, რომ თავისი პოზიცია თავად რობინიომაც დაადასტურა, რომელიც ახლა შვებულებაშია და ისვენებს: „თუ სანტოსი" დამაბრკოლებს, გუნდთან არ ვივარჯიშებ. მე „რეალში" თამაში მინდა".

**გაგა ხუციშვილი**

# როგორ ვიშოვოთ 2 მილიონი

## ბაიერნმა ქარიმი გამოფინა, პოდოლსკი გაამხილა

35 დღიანი სიმყუდროვის მერე კვლავ ახმაურდა ზებენერ შტრასეზე მდებარე საწვრთნელი ცენტრი — მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელებმა კუთვნილი შვებულება მოილიეს და ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგნენ. „ჩვენი მიზანი ბუნდესლიგის, გერმანიის თასისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა“ — გაუმხილა გულისნადები მიუნხენელთა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა ვარჯიშის სანახავად მრავლად მისულ ჟურნალისტებს



„ბაიერნის“ ახალწვეულები, ვალერიან ისმაელი და ალი ქარიმი მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა გუნდის პირველივე ვარჯიშზე შეაქო



ბასტიან შვაინსტაიგერი და ლუკაშ პოდოლსკი კლუბშიც თანაგუნდელები გახდებიან

**„ბაიერნმა“** სამზადისი კი დაიწყო, თუმც გუნდი სრული შემადგენლობით ვერ შეიკრიბა. კლუბის თავკაცებმა დასვენების საშუალება იმ ფეხბურთელებს მისცეს, რომლებმაც ახლახან დასრულებულ კონფედერაციათა თასზე თავიანთ ნაკრებში ითამაშეს — ოლივერ კანი, მიხაელ ბალაკი, სებასტიან დაისლერი, ბასტიან შვაინსტაიგერი, ზე რობერტო, ლუსიო და მარტინ დემიკელისი გუნდს ათ დღეში შეუერთდებიან. გუშინ არ უვარჯიშიათ როი მაკაის, ხოსე პაულო გერეროსა და ბიქსენტ ლიზარაზუს, მათ ზებენერ შტრასეზე დღეს ელიან. კლაუდიო პიზაროს გამოჩენამ კი მწვრთნელი გააკვირვა და გაახარა — პერუელ ფორვარდს მიუნხენში ოთხშაბათს ელოდნენ.

ჟურნალისტთა განსაკუთრებული ყურადღება „ბაიერნის“ ახალწვეულების, „ვერდერიდან“ ნაყიდი ვალერიან ისმაელისა და აზიის საუკეთესო ფეხბურთელის, ირანელი ალი ქარიმისკენ იყო მიპყრობილი. ფელიქს მაგათს ამ ორი ფეხბურთელისა დიდად ეიმედება და მათ მიმართ ქების სიტყვებიც არ დაუშურებია — „ისმაელის მოსვლით, ვფიქრობ, დაცვაში შექმნილ პრობლემებს მოვაგვარებთ, ის საკმაოდ გამოცდილია და ბუნდესლიგასაც კარგად იცნობს. შეტევაში ჩართვაც ეხერხება და საჰაერო ორთაბრძოლებშიც შეუდარებელია“ — ამბობს ბაიერნელთა თავკაცი. „ვოცნებობ, „ბაიერნთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა მოვიგო, კლუბში კარგად თამაშით კი საფრანგეთის ნაკრებშიც დავიმკვიდრებ ადგილს“ — ვალში არ დარჩენია მწვრთნელს ისმაელი.

ირანელ ალი ქარიმს ჟურნალისტებთან საუბარი ჯერ უჭირს — გერმანულად მხოლოდ ორი სიტყვა სცოდნია. სამაგიეროდ, მოედანზე გარჯილა ისე კარგად, რომ პრესისა და თანაგუნდელთა მოწონება დაუმსახურებია. „პირველივე ვარჯიშზე შევეცადე ამეხსნა ალისთვის, რა განსხვავებაა აზიურ და ევროპულ ფეხბურთს შორის. მან სწორად გამიგო და თავისი საუკეთესო თვისებები წარმოაჩინა. მართალია, თავიდან ღელავდა, მაგრამ გოლი გაიტანა თუ არა, დამშვიდდა და ჩემი დავალებები ზუსტად შეასრულა“ — თქვა ვარჯიშის დასრულების მერე ფელიქს მაგათმა.

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მიუნხენელები კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას ემურებიან. მთავარი სამიზნე კი „კიოლნისა“ და ბუნდესნაკრების ფორვარდი ლუკაშ პოდოლსკია. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა ეს ინფორმაცია დაადასტურა: „ყველაფერს ვიღონებთ, პოდოლსკის გადმოსაბირებლად. ის უნიჭიერესი თავდამსხმელია და „ბაიერნი“ მისი ხელიდან გაშვებას არ აპირებს“.

შეგახსენებთ, რომ ლუკაშ პოდოლსკიმ კონფედერაციათა თასზე მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა და ბასტიან შვაინსტაიგერთან ერთად ბუნდესნაკრების ერთ-ერთ ლიდერადაც მოგვევლინა. შვაინსტაიგერის ნაციონალმანშაფტში გარჯით ფრიად გაკვირვებული დარჩენილა ჰიონესი: „ისეთი გამოუსწორებელი ოპტიმისტიც კი, მე რომ ვარ, ვერ წარმოიდგენდა ბასტიანის ასეთ პროგრესს. ძალიან მიხარია, რომ იგი „ბაიერნში“ ჩამოყალიბდა ფეხბურთელად და ახლა გერმანიის ნაკრების წამყვანი მოთამაშეა“.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ ბუნდესლიგის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე „ბაიერნი“ იაპონიაში გაემგზავრება და იქაური ჯეი-ლიგის გუნდებთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. კლუბის თავკაცთა ასეთი გადაწყვეტილებით გაოცებული ჟურნალისტებისთვის ული ჰიონესს განუმარტავს, აზიური ტურნე ფინანსურად მომგებიანია, გუნდს უნდა შეეძლოს ფულის შოვნა, იაპონიაში დაგეგმილი ეს მატჩები კი „ბაიერნს“ 2 მილიონ ევროს მოუტანსო.

**სოსო კოტორეიშვილი**

# ბენფიკას სამაია

**პორტუგალიის** ჩემპიონმა ლისაბონის „ბენფიკამ“ ბრაზილიური „კორინთიანსიდან“ მცველი ანდერსონი შეიძინა. მის გარდა პორტუგალიის ჩემპიონებმა კიდევ ორი ფეხბურთელი გადაიბირეს.

„ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება — თქვა ანდერსონმა — „კორინთიანსი“ უკვე წარსულია და ევროპაში თამაშის ოცნება ამიხდა“.

2000 წელს „კორინთიანსში“ გადასულმა ანდერსონმა კლუბის მაისურით 200 მატჩი ითამაშა და კაპიტნის სამკლავურს ატარებდა. ბრაზილიელმა მცველმა ლისაბონელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ პორტუგალიურმა კლუბმა ახალშეძენილის ჯამაგირი არ გაამხილა.



ახალი ბენფიკელები: ანდერსონი, ბეტუ და ანდრეი კარიაკა

ანდერსონამდე „ბენფიკამ“ 28 წლის ბეტუ „ბეირა მარიდან“ გადაიბირა, რომელმაც სამი წლით დაუკავშირა თავისი ბედი ლისაბონურ გუნდს და კიდევ — სამარის „კრილია სოვეტოვიდან“ 27 წლის ანდრეი კარიაკა იახლა. კარიაკამ ოთხწლიანზე მოაწერა ხელი.

**ვაჟა ხუციშვილი**





# გარი და ჰარი მორიგებულან

**სასამართლო,** წარსულში დიად ინგლისელ თავდამსხმელს, გარი ლინეკერსა და მოქმედ ავსტრალიელ ფეხბურთელს, ჰარი კიუელს შორის იმიტომ ჩადგა, რომ ლინეკერმა, ერთი ხნის წინ, გაზეთ „სანდი ტელეგრაფში“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც კიუელის „ლიდს იუნაიტედიდან“ „ლივერპულში“ გადასვლა თაღლითობანარევ აქციად დახატა, ხოლო ამით აღშფოთებულმა ავსტრალიელმა იჩივლა.

აღსანიშნავია, რომ ივნისში სასამართლომ საკითხთან დაკავშირებით დასკვნა ვერ გამოიტანა და ამიტომ, წესითა და რიგით, ახალი სასამართლო უნდა გამართულიყო, მაგრამ როგორც კიუელის ვექილმა კრის ფერნელმა განაცხადა, მხარეებს შორის მოხდა სასამართლოსგან დამოუკიდებელი გარიგება და შესაბამისად, საქმის ხელმეორედ განხილვას აღარც კიუელის მხარე ითხოვს და აღარც ლინეკერისა. კერძოდ, რაზე შეთანხმდნენ მოსარჩელენი, ცნობილი არ არის, მაგრამ კიუელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მის კლიენტს მოსამართლის უვერდიქტო შემაჯამებელმა სიტყვამ თავმოყვარეობა დაუკმაყოფილა, ვინაიდან იქ მისი გულისტკივილი სრულიად იყო წარმოჩენილი, ხოლო ლინეკერის ადვოკატმა ენდრიუ ჰერნმა დასძინა, რომ მის მხარეს კიუელისთვის არანაირი ფორმით საკომპენსაციო თანხა არ გადაუხდია.

**ბაჩუნა ძიდია**

# ომანი ბოლტონში

## ალი ალ ჰაბსი ნორვეგიიდან

**პრემიერლიგურმა** „ბოლტონმა“ ზამთრისთვის დაიბევა ომანელი მეკარე ალი ალ ჰაბსი, რომელიც ნორვეგიულ „ლინს“ ეკუთვნის და კლუბთან კონტრაქტი წლის ბოლოს უმთავრდება. 23 წლის ომანელი აზიაში საუკეთესოდ აღიარეს და იგი „ბოლტონში“ სამწლინახევრით გადავა.

„მე ყოველთვის მსურდა პრემიერლიგაში თამაში და ეს ტრანსფერი ჩემთვის განსაკუთრებულია — თქვა ალი ალ ჰაბსმა — სემ ალარდაისის გუნდში ყოფნა სასიხარულოა. ასეთი ნაბიჯი უკვე წინსვლას ნიშნავს, რადგან დიდი მომავალი მელის. „ბოლტონს“ ევროპაში თავის გამოჩენა სურს და მეც მათთან ერთად ვიქნები. გარდა ამისა, აზიელი მეკარეს პრემიერლიგაში მაღალ დონეზე თამაშის საშუალება ეძლევა და ეს სრულიად აზიისთვის საამაყოა“.

ალი ალ ჰაბსი შარშან ნორვეგიის საუკეთესო მეკარედაც დაასახელეს. იგი „ლინში“ 2003 წლის იანვარში ომანური „ალ ნასერიდან“ გადავიდა. შეგახსენებთ, რომ სემ ალარდაისმა „ლივერპულიდან“ ერთი წლით ნათხოვარ ელ-ჰაჯი დიუფთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სენეგალელიც „ბოლტონის“ ფეხბურთელი ოფიციალურად გახდა.



ალი ალ ჰაბსი

**ვაჟა ხუციშვილი**

# ევროწლის წინათ

## ბრწყინვალეს მერე ბრწყინვალე აღარ მომხდარა

## იმედით იცხოვრეთ, პატარებო

*ძველ საბერძნეთში, ქრისტეშობამდე მეშვიდე საუკუნეში, ცხოვრობდა მეიგავე და ფილოსოფოსი ეზოპე, რომელმაც კაცობრიობას ბევრი ცნობილი იგავ-არაკი დაუტოვა. მის ნაღვაწთაგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გახლავთ ყვავისა და დოქის ამბავი, სადაც მოყოლილია ისტორია, თუ როგორ იპოვნა მონწყურებულმა ყვავმა დოქი ფსკერზე წყლით. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მშრალად ვთქვათ: ყვავი წყალს წისკარტს ვერ აწვდენს, მაგრამ იჩენს გონიერებას, დოქში ყრის კენჭებს, წყლის დონეს ამაღლებს და ისე აღწევს მიზანს*



სტელიოს იანკოპულოსი

**ერთი სიტყვით,** ეზოპეს იმის თქმა უნდოდა, რომ თუ კაცი სწორად დაგეგმავს, ყველაფერი, რაც ერთი შეხედვით მიუღწეველი ჩანს, მიიღწევა. ჰოდა, რაკი ასეა, ძველიდან ახალ ბერძნებზე გადავიდეთ და მათი ბოლო მიღწევა გავიხსენოთ — ერთი წლის წინ, 4 ივლისს, ელინთა საფეხბურთო ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გაიმარჯვა და ეს გამარჯვება იმთავითვე კარგი დაგეგმვის შედეგად აღიარა მთელმა მსოფლიომ.

დღეს, როდესაც ემოცია დაცხრა და დასკვნების გამოსატანად საკმარისი დრო გავიდა, შეგვიძლია მშვიდად გავიხსენოთ, რომ გერმანელი მწვრთნელის, ოტო რეჰაგელის ქვეშევრდომებს შეჯიბრების დაწყებამდე ბუქმეიქერები შანსებს 150-1 უფასებდნენ, ხოლო ასეთი გუნდისგან მასპინძელი პორტუგალიის ერთ ტურნირზე ორჯერ დამარცხება (სხვა შედეგებს სულ რომ თავი დავანებოთ) მთელი „ბებერი კონტინენტისთვის" მოულოდნელი იყო.

გარდა გუნდურისა, იყო ინდივიდუალური წარმატებებიც. თავის დროზე „ლესტერის" მიერ დაწუნებული თეოდოროს ზაგორაკისი, რომელმაც შემდეგ „ბოლონიას" მიაშურა, ხოლო ახლა იქიდანაც წავიდა, უეფამ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. მისი თანამემამულენი ტრაიანოს დელასი და ანგელოს ხარისტიასი კი ევროპის საფეხბურთო ელიტაში შევიდნენ.

შეფასებები კი სხვადასხვანაირი ისმოდა და ისმის. ერთნი ამტკიცებენ, რომ ის, რაც ევრო 2004-ზე მოხდა, იყო ნეგატიური ფეხბურთის შემოქმედებით ფეხბურთზე გამარჯვება, ხოლო მეორენი ამბობენ, რომ ეს იყო პატარა საფეხბურთო ქვეყნის მრავალმნიშვნელოვანი და საჭირო გამარჯვება იმ ისტორიულ ეპოქაში, როდესაც დიდნი კიდევ უფრო დიდდებიან, მდიდრდებიან და მათსა და პატარებს შორის ნაპრალი უფსკრულამდე იზრდება.

მაგრამ, ეს ყველაფერი თეორია და ანალიზია, საბერძნეთის ნაკრები კი შარშან ამ დროს ათენში ტრიუმფატორად დაბრუნდა და ატლანტიკის ოკეანის სანაპიროდან ქვეყანას დიდი სიხარული ჩაუტანა.

ევროპის ჩემპიონი ნახევარმცველი სტელიოს იანაკოპულოსი: „ეს ბერძნული ფეხბურთის ისტორიასა და პირადად ჩემს ცხოვრებაში უდიდესი დღე იყო — უთხრა მან **BBC**-ს კორესპონდენტს — მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ასეა, თუ დიდ შეჯიბრებაში გაიმარჯვებ, მეორე დღეს ეროვნული გმირი იქნები. ჩვენს შემთხვევაშიც ზუსტად იგივე მოხდა. ჩვენ ისეთ რამეს მივაღწიეთ, რაზეც არავინ ოცნებობდა და თან ერთ-ორ კვირაში, ჩვენთან ათენში ოლიმპიადა იწყებოდა. მოკლედ, ეს იყო სრულიადბერძნული დიდი ზეიმი".

საინტერესო ფაქტია: საბერძნეთის ნაკრებს ევრო 2004-მდე დიდი შეჯიბრების ფინალში ერთი თამაშიც კი არ ჰქონდა მოგებული, და „ბოლტონის" ნახევარმცველს იმედი მიეცა, რომ ევროპული წარმატება დიდი ეპოქის დასაწყისი იქნებოდა, მაგრამ აი, გავიდა მთელი წელიწადი და 33 წლის ვარსკვლავი ხედავს, რომ დიდი ეპოქა იგვიანებს:

„ბრწყინვალე ჯერჯერობით არაფერი მომხდარა. არადა, ევრო 2004-ის შემდეგ ვიმედოვნებდი, რომ საქმეები სულ უკეთ და უკეთ წავიდოდა. საერთოდ, მთავარია ბერძენ ბავშვებს ჩვენმა წარმატებამ იმედი გაუღვივოს და აფიქრებინოს, რომ მათაც შეუძლიათ დიდი წარმატებების მიღწევა, მაგრამ საამისოდ საკუთრივ ქვეყანაში უნდა შეიცვალოს ბევრი რამ. ელემენტარულად, საბერძნეთის საუკეთესო ფეხბურთელები სულ საზღვარგარეთ თამაშობენ და ეს ძალიან ცუდია".

გავიხსენოთ, რა მოხდა ბოლოს საბერძნეთის ნაკრების ცხოვრებაში — უკრაინამ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ბერძნები ათენში დაამარცხა და ამით ძალიან გაურთულა საქმე. შეიძლება ითქვას, ახლა ევროპის ჩემპიონები და თურქები მეორე ადგილისთვის ჭამენ ერთმანეთს.

თუმცა, გავა ოტო რეჰაგელის გუნდი 2006 წლის მუნდიალის ფინალურ ეტაპზე თუ ვერა, მან ზუსტად ერთი წლის წინ ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ სამუდამოდ შევიდა ისტორიაში.

„ჩვენს გუნდში შესაფერის დროს, შესაფერისმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი და ამ ყველაფერს შესაფერისი მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში. მწამს, ჩვენი გამარჯვება სამაგალითოა მთელი მსოფლიოს პატარა გუნდებისთვის. მათ დაინახეს, რომ დიდი სიმაღლეების დაპყრობა შეუძლიათ. მთავარია გუნდური სულისკვეთებისა ირწმუნონ". — დასძენს იანაკოპულოსი.

**ბაჩუნა ძიძია**



შარშან ამ დროს საბერძნეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XIII ტური

ალესუნდი — ვიკინგი 1:2; ბოდიო გლიმტი — ლინი 1:3; ბრანი — ჰამ კამი 2:0; მიოლდე — ლილესტრიომი 2:0; ტრომსიო — რუსენბორგი 1:2; ფრედრიკსტადი — სტარტი 1:2; ვოლერენგა — ოდ გრენლანდი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 13 | 9 | 3 | 1 | 27:13 | 30 |
| ბრანი | 13 | 7 | 3 | 3 | 28:14 | 24 |
| ვიკინგი | 13 | 7 | 3 | 3 | 20:16 | 24 |
| ვოლერენგა | 13 | 7 | 3 | 3 | 21:14 | 24 |
| ლინი | 13 | 5 | 6 | 2 | 18:11 | 21 |
| ლილესტრიომი | 13 | 6 | 3 | 4 | 19:18 | 21 |
| რუსენბორგი | 13 | 5 | 3 | 5 | 24:18 | 18 |
| ფრედრიკსტადი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:19 | 16 |
| მიოლდე | 13 | 4 | 3 | 6 | 17:26 | 15 |
| ჰამ კამი | 13 | 4 | 2 | 7 | 12:18 | 14 |
| ტრომსიო | 13 | 2 | 6 | 5 | 13:17 | 12 |
| ბოდიო გლიმტი | 13 | 2 | 4 | 7 | 14:20 | 10 |
| ალესუნდი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:21 | 10 |
| ოდ გრენლანდი | 13 | 2 | 3 | 8 | 8:25 | 9 |

### I დივიზიონი. XIV ტური

ალტა — სანდეფიორდი 2:3; ტონსბერგი — მანდალი 0:1; ფოლო — ბრინი 4:0; ჰიონეფოსი — ჰორს გრენლანდი 3:1; მოსი — სკეიდი 5:1; სოგნდალი — ჰიოდი 2:2; სტაბეკი — ლოვ ჰამი 1:0; სტრიომსგოდსეტი — კონგსვინგერი 1:1

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XII ტური

მიუპა — ლაჰტი 3:1; როვანიემი — მარიეჰამნი 1:0; კუოპიო — ჰაკა 0:0; ტპ-47 — ჰიკ 1:2; ტურკუ — კტპ 3:1. ალიანსი — ინტერი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 12 | 7 | 4 | 1 | 19:6 | 25 |
| ჰიკ | 12 | 6 | 6 | 0 | 17:8 | 24 |
| ინტერი | 11 | 5 | 5 | 1 | 15:3 | 20 |
| ჰაკა | 12 | 4 | 7 | 1 | 12:8 | 19 |
| ტამპერე | 10 | 5 | 3 | 2 | 13:8 | 18 |
| ალიანსი | 11 | 3 | 7 | 1 | 10:7 | 16 |
| მარიეჰამნი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:13 | 16 |
| კტპ | 12 | 4 | 4 | 4 | 16:18 | 16 |
| ლაჰტი | 12 | 4 | 2 | 6 | 17:22 | 14 |
| ტურკუ | 11 | 3 | 2 | 6 | 8:12 | 11 |
| კუოპიო | 12 | 3 | 2 | 7 | 12:21 | 11 |
| ტპ 47 | 12 | 2 | 2 | 8 | 8:13 | 8 |
| როვანიემი | 12 | 1 | 5 | 6 | 11:21 | 8 |
| იარო | 11 | 1 | 5 | 5 | 4:14 | 8 |

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XV ტური

ბოჰემიანსი — უოტერფორდი 2:1; დროჰედა — ბრეი 3:0; დუბლინი — კორკ სიტი 1:5; შელბურნი — დერი სიტი 1:2; ლონგფორდი — შემროკი 2:1; ფინ ჰარპსი — სენტ პატრიკსი 0:2

## არგენტინა

### კლაუსურა. XIX ტური

კილმესი — ხიმნასია 1:1; ოლდ ბოისი — ინდეპენდიენტე 1:1; რასინგი — სან ლორენსო 0:1; ესტუდიანტესი — როსარიო 1:1; რივერ პლეიტი — ურაკანი 1:0; არგ. ხუნიორსი — ბანფილდი 1:2; არსენალი — ველესი 1:1; ინსტიტუტო — კოლონი 2:0; ლანუსი — ოლიმპო 5:0. *ალმაგრო — ბოკა ხუნიორსი 3:2-ზე ჩაიშალა*

## ისლანდია

### პრემიერდივიზიონი. IX ტური

ვესტმანაეიარი 0:3 ფილკირი

## შვედეთი

### ალსვენსკან. XIII ტური

ჰეკენი — ასირისკა 0:2; ლანდსკრონა — ჰამარბი 0:3; ჰალმსტადი — მალმიო 0:0; იორგრიტე — ჰელსინგბორგი 1:2; ელფსბორგი — კალმარი 1:0. *გეფლე — გიოტებორგი ხვალ გაიმართება, სუნდსვალი — იურგორდენი 11 ივლისს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 12 | 8 | 2 | 2 | 26:14 | 26 |
| მალმიო | 13 | 7 | 2 | 4 | 15:12 | 23 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 7 | 2 | 4 | 21:19 | 23 |
| კალმარი | 13 | 6 | 4 | 3 | 12:8 | 22 |
| ელფსბორგი | 13 | 6 | 3 | 4 | 20:18 | 21 |
| გიოტებორგი | 12 | 5 | 5 | 2 | 15:9 | 20 |
| ჰეკენი | 13 | 6 | 1 | 6 | 21:16 | 19 |
| ჰალმსტადი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:17 | 18 |
| ჰამარბი | 13 | 5 | 3 | 5 | 16:15 | 18 |
| იორგრიტე | 13 | 4 | 2 | 7 | 16:21 | 14 |
| გეფლე | 12 | 4 | 1 | 7 | 10:16 | 13 |
| ლანდსკრონა | 13 | 3 | 4 | 6 | 14:25 | 13 |
| ასირისკა | 13 | 3 | 1 | 9 | 10:16 | 10 |
| სუნდსვალი | 12 | 3 | 1 | 8 | 13:21 | 10 |

### სუპერეტა. XIV ტური

გაის — ვასბი 1:0; ატვიდაბერგი — ბრომაპოიკარნა 2:0; ფალკენბერგი — დეგერფორსი 0:1; იოსტერსი — ტრელებორგი 3:2; ბოდენსი — მიალბი 1:2; იორებრო — ლიუნგსკილე 2:1; ვასტერასი — ნორჩიოპინგი 0:2. *ფრიოლუნდა — აიკ დღეს გაიმართება*

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XIII ტური

ტოკიო — სერეზო 2:2; გამბა — ვერდი 7:1; ივატა — კავაზაკი 1:2; კაშივა — ჰიროშიმა 1:1; ნაგოია — ომია 1:1; კობე — იჩიჰარა 1:1; ოიტა — იოკოჰამა 0:2; კაშიმა — შიმიცუ 2:1; ურავა — ნიიგატა 2:1

## აშშ

### მეიჯორ სოკერ ლიგა გადადებული მატჩები

კოლუმბუსი — ვაშინგტონი 0:1; დალასი — სან ხოსე 2:2; ჩივასი — ჩიკაგო 0:1

## ბრაზილია

### სერია A. X ტური

კურიტიბა — პაისანდუ 3:1; ფლუმინენსე — პარანა 0:1; პონტე პრეტა — სან პაულუ 1:0; ვასკუ და გამა — გოიასი 1:2; ატლ. მინეირო — ფლამენგო 3:1; ფიგეირენსე — კრუზეირო 0:0; ფორტალეზა — კორინთიანსი 2:1; ბრაზილიენსე — ატლ. პარანენსე 2:1; ინტერნასიონალი — სან კაეტანო 2:1; პალმეირასი — ბოტაფოგო 4:1; სანტოსი — ჟუვენტუდე 0:0

## ურუგვაი

### პრემიერდივიზიონი XVII ტური

უონდერერსი — დანუბიო 2:0; პაისანდუ — რენტისტასი 3:1; პენიაროლი — მირამარი 1:1; ნასიონალი — როჩა 3:2; ლივერპული — რივერ პლეიტი 3:3; სერო — ტაკუარემბო 2:1; სერიტო — დეფენსორ სპორტინგი 0:1; რამპლა — პლაზა კოლონია 0:0; ფენიქსი — დეპორტივო კოლონია 1:2

## ამხანაგური მატჩი

კანადა 1:2 ჰონდურასი

## აბიატის, როგორც იქნა, მშვიდად დიდას გაეყარა, ჯენოას შეეყარა

**კრისტიან აბიატიმ** საწადელს მიაღწია და გუშინ „მილანს" გაეყარა. ორი წლის მანძილზე ბრაზილიელი ნელსონ დიდას ჩრდილში მოქცეული აბიატი ამიერიდან სერია A-ში დაბრუნებულ „ჯენოაში" ითამაშებს. „ჯენოამ" აბიატის სანაცვლოდ „მილანს" 3 მილიონი ევრო გადაუხადა. კომენტარებისგან სამივე მხარე („ჯენოა"-აბიატი-„მილანი") კი ჯერჯერობით თავს იკავებს. გუშინვე „მილანმა" „მესინას" ბერძენი მეკარე დიმიტრიოს ელეფთეროპულოსი ერთი წლით იყიდა.

ასე და ამგვარად, კრისტიან აბიატი შეიქნა მეშვიდე ფეხბურთელი, ვინაც „შავ-წითელთა" რიგები ოფიციალურად დატოვა. „მილანიდან" მანამდე წავიდნენ: კრისტიან ბროკი, მარკო დონადელი (ფიორენტინა), ვიკაშ დორასო (პსჟ), მასიმო დონატი (მესინა), სამუელე დალა ბონა და მარკო ბორიელო (სამპდორია).

**გიორგი გაზაძიძე**

# საფრანგეთი. პირველი დივიზიონი 2005-2006

## 2005 წელი

### 1-ლი ტური: 30 ივლისი

| | |
|---|---|
| ლე მანი | ლიონი |
| ლილი | რენი |
| მარსელი | ბორდო |
| ნანსი | მონაკო |
| ნანტი | ლანსი |
| ნიცა | ტრუა |
| პსჟ | მეცი |
| სოშო | ტულუზი |
| სენტ ეტიენი | აიაჩო |
| სტრასბური | ოსერი |

### მე-2 ტური: 6 აგვისტო

| | |
|---|---|
| აიაჩო | ლილი |
| ბორდო | ნანსი |
| ლანსი | მარსელი |
| ლიონი | სტრასბური |
| მეცი | ლე მანი |
| მონაკო | ოსერი |
| რენი | ნანტი |
| სოშო | პსჟ |
| ტულუზი | ნიცა |
| ტრუა | სენტ ეტიენი |

### მე-3 ტური: 13 აგვისტო

| | |
|---|---|
| ოსერი | ბორდო |
| ლე მანი | რენი |
| ლილი | ტრუა |
| მარსელი | ლიონი |
| ნანსი | ლანსი |
| ნანტი | აიაჩო |
| ნიცა | სოშო |
| პსჟ | ტულუზი |
| სენტ ეტიენი | მეცი |
| სტრასბური | მონაკო |

### მე-4 ტური: 20 აგვისტო

| | |
|---|---|
| აიაჩო | ლე მანი |
| ბორდო | მონაკო |
| ლანსი | ოსერი |
| ლიონი | ნანსი |
| მეცი | სტრასბური |
| ნიცა | ნანტი |
| რენი | მარსელი |
| სოშო | ლილი |
| ტულუზი | სენტ ეტიენი |
| ტრუა | პსჟ |

### მე-5 ტური: 27 აგვისტო

| | |
|---|---|
| ოსერი | ლიონი |
| ლე მანი | ტრუა |
| ლილი | ტულუზი |
| მარსელი | აიაჩო |
| მონაკო | ლანსი |
| ნანსი | რენი |
| ნანტი | მეცი |
| პსჟ | ნიცა |
| სენტ ეტიენი | სოშო |
| სტრასბური | ბორდო |

### მე-6 ტური: 10 სექტემბერი

| | |
|---|---|
| აიაჩო | ნანსი |
| ლანსი | ბორდო |
| ლიონი | მონაკო |
| მეცი | ლილი |
| ნიცა | სენტ ეტიენი |
| პსჟ | სტრასბური |
| რენი | ოსერი |
| სოშო | მარსელი |
| ტულუზი | ლე მანი |
| ტრუა | ნანტი |

### მე-7 ტური: 17 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ოსერი | აიაჩო |
| ბორდო | ლიონი |
| ლე მანი | სოშო |
| ლილი | ნიცა |
| მარსელი | ტრუა |
| მონაკო | რენი |
| ნანსი | მეცი |
| ნანტი | ტულუზი |
| სენტ ეტიენი | პსჟ |
| სტრასბური | ლანსი |

### მე-8 ტური: 21 სექტემბერი

| | |
|---|---|
| აიაჩო | სტრასბური |
| ლიონი | ლანსი |
| მეცი | ოსერი |
| ნიცა | ლე მანი |
| პსჟ | ლილი |
| რენი | ბორდო |
| სოშო | ნანტი |
| სენტ ეტიენი | ნანსი |
| ტულუზი | მარსელი |
| ტრუა | მონაკო |

### მე-9 ტური: 24 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ოსერი | სოშო |
| ბორდო | აიაჩო |
| ლე მანი | პსჟ |
| ლანსი | რენი |
| ლილი | სენტ ეტიენი |
| მარსელი | მეცი |
| მონაკო | ნიცა |
| ნანსი | ტრუა |
| ნანტი | ლიონი |
| სტრასბური | ტულუზი |

### მე-10 ტური: 1 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| აიაჩო | ლანსი |
| ლილი | მონაკო |
| მეცი | ბორდო |
| ნიცა | მარსელი |
| პსჟ | ნანტი |
| რენი | ლიონი |
| სოშო | ნანსი |
| სენტ ეტიენი | ლე მანი |
| ტულუზი | ოსერი |
| ტრუა | სტრასბური |

### მე-11 ტური: 15 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ოსერი | ტრუა |
| ბორდო | სოშო |
| ლე მანი | ლილი |
| ლანსი | ნიცა |
| ლიონი | აიაჩო |
| მარსელი | პსჟ |
| მონაკო | მეცი |
| ნანსი | ტულუზი |
| ნანტი | სენტ ეტიენი |
| სტრასბური | რენი |

### მე-12 ტური: 22 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| აიაჩო | რენი |
| ლე მანი | სტრასბური |
| ლილი | ნანტი |
| მეცი | ლიონი |
| ნიცა | ოსერი |
| პსჟ | ნანსი |
| სოშო | მონაკო |
| სენტ ეტიენი | მარსელი |
| ტულუზი | ბორდო |
| ტრუა | ლანსი |

### მე-13 ტური: 29 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ოსერი | პსჟ |
| ბორდო | ტრუა |
| ლანსი | ტულუზი |
| ლიონი | სოშო |
| მარსელი | ლილი |
| მონაკო | აიაჩო |
| ნანსი | ნიცა |
| ნანტი | ლე მანი |
| რენი | მეცი |
| სტრასბური | სენტ ეტიენი |

### მე-14 ტური: 5 ნოემბერი

| | |
|---|---|
| ლე მანი | მარსელი |
| ლილი | სტრასბური |
| მეცი | აიაჩო |
| ნანტი | ნანსი |
| ნიცა | ბორდო |
| პსჟ | მონაკო |
| სოშო | ლანსი |
| სენტ ეტიენი | ოსერი |
| ტულუზი | ლიონი |
| ტრუა | რენი |

### მე-15 ტური: 19 ნოემბერი

| | |
|---|---|
| აიაჩო | სოშო |
| ოსერი | ლილი |
| ბორდო | პსჟ |
| ლანსი | მეცი |
| ლიონი | ტრუა |
| მარსელი | ნანტი |
| მონაკო | სენტ ეტიენი |
| ნანსი | ლე მანი |
| რენი | ტულუზი |
| სტრასბური | ნიცა |

### მე-16 ტური: 26 ნოემბერი

| | |
|---|---|
| ლე მანი | ოსერი |
| ლილი | ნანსი |
| მარსელი | მონაკო |
| ნანტი | სტრასბური |
| ნიცა | ლიონი |
| პსჟ | ლანსი |
| სოშო | რენი |
| სენტ ეტიენი | ბორდო |
| ტულუზი | აიაჩო |
| ტრუა | მეცი |



ჩემპიონი „ლიონი“ ახალ სეზონს „ლე მანთან“ სტუმრობით დაიწყებს

### მე-17 ტური: 3 დეკემბერი

| | |
|---|---|
| აიაჩო | ტრუა |
| ოსერი | ნანტი |
| ბორდო | ლილი |
| ლანსი | სენტ ეტიენი |
| ლიონი | პსჟ |
| მეცი | ტულუზი |
| მონაკო | ლე მანი |
| ნანსი | მარსელი |
| რენი | ნიცა |
| სტრასბური | სოშო |

### მე-18 ტური: 10 დეკემბერი

| | |
|---|---|
| ლე მანი | ბორდო |
| ლილი | ლანსი |
| მარსელი | ოსერი |
| ნანსი | სტრასბური |
| ნანტი | მონაკო |
| ნიცა | აიაჩო |
| პსჟ | რენი |
| სოშო | მეცი |
| სენტ ეტიენი | ლიონი |
| ტულუზი | ტრუა |

### მე-19 ტური: 17 დეკემბერი

| | |
|---|---|
| აიაჩო | პსჟ |
| ოსერი | ნანსი |
| ბორდო | ნანტი |
| ლანსი | ლე მანი |
| ლიონი | ლილი |
| მეცი | ნიცა |
| მონაკო | ტულუზი |
| რენი | სენტ ეტიენი |
| სტრასბური | მარსელი |
| ტრუა | სოშო |

## 2006 წელი

### მე-20 ტური: 4 იანვარი

| | |
|---|---|
| ოსერი | მონაკო |
| ლე მანი | მეცი |
| ლილი | აიაჩო |
| მარსელი | ლანსი |
| ნანსი | ბორდო |
| ნანტი | რენი |
| ნიცა | ტულუზი |
| პსჟ | სოშო |
| სენტ ეტიენი | ტრუა |
| სტრასბური | ლიონი |

### 21-ე ტური: 11 იანვარი

| | |
|---|---|
| აიაჩო | ნანტი |
| ბორდო | ოსერი |
| ლანსი | ნანსი |
| ლიონი | მარსელი |
| მეცი | სენტ ეტიენი |
| მონაკო | სტრასბური |
| რენი | ლე მანი |
| სოშო | ნიცა |
| ტულუზი | პსჟ |
| ტრუა | ლილი |

### 22-ე ტური: 14 იანვარი

| | |
|---|---|
| ოსერი | ლანსი |
| ლე მანი | აიაჩო |
| ლილი | სოშო |
| მარსელი | რენი |
| მონაკო | ბორდო |
| ნანსი | ლიონი |
| ნანტი | ნიცა |
| პსჟ | ტრუა |
| სენტ ეტიენი | ტულუზი |
| სტრასბური | მეცი |

### 23-ე ტური: 21 იანვარი

| | |
|---|---|
| აიაჩო | მარსელი |
| ბორდო | სტრასბური |
| ლანსი | მონაკო |
| ლიონი | ოსერი |
| მეცი | ნანტი |
| ნიცა | პსჟ |
| რენი | ნანსი |
| სოშო | სენტ ეტიენი |
| ტულუზი | ლილი |
| ტრუა | ლე მანი |

### 24-ე ტური: 28 იანვარი

| | |
|---|---|
| ოსერი | რენი |
| ბორდო | ლანსი |
| ლე მანი | ტულუზი |
| ლილი | მეცი |
| მარსელი | სოშო |
| მონაკო | ლიონი |
| ნანსი | აიაჩო |
| ნანტი | ტრუა |
| სენტ ეტიენი | ნიცა |
| სტრასბური | პსჟ |

### 25-ე ტური: 4 თებერვალი

| | |
|---|---|
| აიაჩო | ოსერი |
| ლანსი | სტრასბური |
| ლიონი | ბორდო |
| მეცი | ნანსი |
| ნიცა | ლილი |
| პსჟ | სენტ ეტიენი |
| რენი | მონაკო |
| სოშო | ლე მანი |
| ტულუზი | ნანტი |
| ტრუა | მარსელი |

### 26-ე ტური: 11 თებერვალი

| | |
|---|---|
| ოსერი | მეცი |
| ბორდო | რენი |
| ლე მანი | ნიცა |
| ლანსი | ლიონი |
| ლილი | პსჟ |
| მარსელი | ტულუზი |
| მონაკო | ტრუა |
| ნანსი | სენტ ეტიენი |
| ნანტი | სოშო |
| სტრასბური | აიაჩო |

### 27-ე ტური: 18 თებერვალი

| | |
|---|---|
| აიაჩო | ბორდო |
| ლიონი | ნანტი |
| მეცი | მარსელი |
| ნიცა | მონაკო |
| პსჟ | ლე მანი |
| რენი | ლანსი |
| სოშო | ოსერი |
| სენტ ეტიენი | ლილი |
| ტულუზი | სტრასბური |
| ტრუა | ნანსი |

### 28-ე ტური: 25 თებერვალი

| | |
|---|---|
| ოსერი | ტულუზი |
| ბორდო | მეცი |
| ლე მანი | სენტ ეტიენი |
| ლანსი | აიაჩო |
| ლიონი | რენი |
| მარსელი | ნიცა |
| მონაკო | ლილი |
| ნანსი | სოშო |
| ნანტი | პსჟ |
| სტრასბური | ტრუა |

### 29-ე ტური: 4 მარტი

| | |
|---|---|
| აიაჩო | ლიონი |
| ლილი | ლე მანი |
| მეცი | მონაკო |
| ნიცა | ლანსი |
| პსჟ | მარსელი |
| რენი | სტრასბური |
| სოშო | ბორდო |
| სენტ ეტიენი | ნანტი |
| ტულუზი | ნანსი |
| ტრუა | ოსერი |

### 30-ე ტური: 11 მარტი

| | |
|---|---|
| ოსერი | ნიცა |
| ბორდო | ტულუზი |
| ლანსი | ტრუა |
| ლიონი | მეცი |
| მარსელი | სენტ ეტიენი |
| მონაკო | სოშო |
| ნანსი | პსჟ |
| ნანტი | ლილი |
| რენი | აიაჩო |
| სტრასბური | ლე მანი |

### 31-ე ტური: 18 მარტი

| | |
|---|---|
| აიაჩო | მონაკო |
| ლე მანი | ნანტი |
| ლილი | მარსელი |
| მეცი | რენი |
| პსჟ | ოსერი |
| სოშო | ლიონი |
| სენტ ეტიენი | სტრასბური |
| ტულუზი | ლანსი |
| ტრუა | ბორდო |
| ნიცა | ნანსი |

### 32-ე ტური: 25 მარტი

| | |
|---|---|
| აიაჩო | მეცი |
| ოსერი | სენტ ეტიენი |
| ბორდო | ნიცა |
| ლანსი | სოშო |
| ლიონი | ტულუზი |
| მარსელი | ლე მანი |
| მონაკო | პსჟ |
| ნანსი | ნანტი |
| რენი | ტრუა |
| სტრასბური | ლილი |

### 33-ე ტური: 1 აპრილი

| | |
|---|---|
| ლე მანი | ნანსი |
| ლილი | ოსერი |
| მეცი | ლანსი |
| ნანტი | მარსელი |
| ნიცა | სტრასბური |
| პსჟ | ბორდო |
| სოშო | აიაჩო |
| სენტ ეტიენი | მონაკო |
| ტულუზი | რენი |
| ტრუა | ლიონი |

### 34-ე ტური: 8 აპრილი

| | |
|---|---|
| აიაჩო | ტულუზი |
| ოსერი | ლე მანი |
| ბორდო | სენტ ეტიენი |
| ლანსი | პსჟ |
| ლიონი | ნიცა |
| მეცი | ტრუა |
| მონაკო | მარსელი |
| ნანსი | ლილი |
| რენი | სოშო |
| სტრასბური | ნანტი |

### 35-ე ტური: 15 აპრილი

| | |
|---|---|
| ლე მანი | მონაკო |
| ლილი | ბორდო |
| მარსელი | ნანსი |
| ნანტი | ოსერი |
| ნიცა | რენი |
| პსჟ | ლიონი |
| სოშო | სტრასბური |
| სენტ ეტიენი | ლანსი |
| ტულუზი | მეცი |
| ტრუა | აიაჩო |

### 36-ე ტური: 29 აპრილი

| | |
|---|---|
| აიაჩო | ნიცა |
| ოსერი | მარსელი |
| ბორდო | ლე მანი |
| ლანსი | ლილი |
| ლიონი | სენტ ეტიენი |
| მეცი | სოშო |
| მონაკო | ნანტი |
| რენი | პსჟ |
| სტრასბური | ნანსი |
| ტრუა | ტულუზი |

### 37-ე ტური: 6 მაისი

| | |
|---|---|
| ლე მანი | ლანსი |
| ლილი | ლიონი |
| მარსელი | სტრასბური |
| ნანსი | ოსერი |
| ნანტი | ბორდო |
| ნიცა | მეცი |
| პსჟ | აიაჩო |
| სოშო | ტრუა |
| სენტ ეტიენი | რენი |
| ტულუზი | მონაკო |

### 38-ე ტური: 13 მაისი

| | |
|---|---|
| აიაჩო | სენტ ეტიენი |
| ოსერი | სტრასბური |
| ბორდო | მარსელი |
| ლანსი | ნანტი |
| ლიონი | ლე მანი |
| მეცი | პსჟ |
| მონაკო | ნანსი |
| რენი | ლილი |
| ტულუზი | სოშო |
| ტრუა | ნიცა |

სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 ივლისი** | | | | | | |
| 20:30 | 1 | ლინცერი-კაფენბერგი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 20:30 | 2 | ლეობენი-ავსტრია(ლ) | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 20:30 | 3 | შვანენშტადტი-კერნტენი | 3.10 | 3.00 | 2.00 | 1.52 | 1.21 | 1.20 |
| 20:30 | 4 | ავსტრია(მ)-გრატკორნი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 20:30 | 5 | ალტახი-კუფშტაინი | 1.80 | 3.20 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.72 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 26 | გეფლე-გიოტებორგი | 3.50 | 3.50 | 1.85 | 1.75 | 1.21 | 1.21 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **5 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 30 | ფრიილუნდა-აიკ | 4.40 | 3.50 | 1.70 | 1.94 | 1.22 | 1.14 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 39 | ჰაკა-ალიანსი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 45 | რეიკიავიკი-გრანესი | 1.90 | 3.10 | 3.60 | 1.17 | 1.24 | 1.66 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 55 | შიმიცუ-ნაგოია | 2.25 | 3.00 | 2.85 | 1.28 | 1.25 | 1.46 |
| 14:00 | 56 | ვერდი-ურავა | 2.40 | 2.90 | 2.70 | 1.31 | 1.27 | 1.39 |
| 14:00 | 57 | იოკოჰამა-კაშიმა | 2.70 | 2.90 | 2.40 | 1.39 | 1.27 | 1.31 |
| 14:00 | 58 | ომია-ივატა | 2.60 | 2.90 | 2.55 | 1.37 | 1.28 | 1.35 |
| 14:00 | 59 | კავასაკი-ტოკიო | 2.00 | 3.00 | 3.30 | 1.20 | 1.24 | 1.57 |
| 14:00 | 60 | ნიიგატა-კობე | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 14:00 | 61 | ჰიროსიმა-გამბა | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 14:00 | 62 | ჩერეძო-იჩიჰარა | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 14:00 | 63 | კაშივა-ოიტა | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| | | **საერთაშორისო ტურნირი** | | | | | | |
| | | **შვეიცარიაში** | | | | | | |
| | | **5 ივლისი** | | | | | | |
| 22:15 | 92 | იანგ ბოიზი-ტრაბზონი | 2.35 | 3.10 | 2.65 | 1.33 | 1.24 | 1.42 |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 22:15 | 95 | ბაზელი-კაიზერსლაუტერნი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 104 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| | | **ირლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **5 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 121 | კორკი-ლონგფორდი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 22:45 | 124 | დერი-დროგედა | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| | | **ოქროს თასი (აშშ)** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 125 | კოლუმბია-პანამა | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 23:45 | 126 | ტრინიდადი-ჰონდურასი | 3.10 | 3.00 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 127 | კანადა-კოსტა რიკა | 3.90 | 3.30 | 1.75 | 1.78 | 1.20 | 1.14 |
| 23:45 | 128 | აშშ-კუბა | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| | | **8 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 129 | სამხრეთ აფრიკა-მექსიკა | 5.20 | 3.40 | 1.55 | 2.05 | 1.19 | 1.06 |
| 23:45 | 130 | გვატემალა-იამაიკა | 2.70 | 3.00 | 2.40 | 1.42 | 1.27 | 1.33 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 137 | ატლეტიკო პრ-სან პაულუ | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი

TELCREDITI

10 42 00 24


## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | **ჩოგბურთი. კაცები** | | |
| | | **ბაშტადი. თიხნარი** | | |
| | | **5 ივლისი** | | |
| 13:00 | 200 | ნადალი-მონაკო | 1.03 | 9.00 |
| 13:00 | 201 | გარსია ლოპესი-ლაპენტი | 1.55 | 2.30 |
| 13:00 | 203 | მონფილსი-ბიორკმანი | 1.40 | 2.80 |
| 13:00 | 204 | იუჟნი-ჰენნელი | 1.25 | 3.60 |
| 13:00 | 205 | აკასუსო-ალმაგრო | 1.40 | 2.80 |
| 13:00 | 206 | ბერდიხი-კიმი | 1.25 | 3.50 |
| 13:00 | 207 | ზაბალეტა-სლიუტერი | 1.40 | 2.50 |
| 13:00 | 208 | მოია-კალატრავა | 1.10 | 6.25 |
| 13:00 | 209 | სოდერლინგი-მაიერი | 1.55 | 2.10 |
| 13:00 | 210 | ვანეკი-იოკანსონი ი | 2.10 | 1.55 |
| | | **ჩოგბურთი. კაცები** | | |
| | | **გშტაადი. თიხნარი** | | |
| | | **5 ივლისი** | | |
| 13:00 | 211 | ანდრეევი-ლოპესი ფ | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 212 | ვოლანდრი-ვავრინკა | 1.60 | 2.00 |
| 13:00 | 213 | ჰერნიხი-არმანდო | 1.45 | 2.40 |
| 13:00 | 214 | დავიდენკო-სარგსიანი | 1.08 | 5.50 |
| 13:00 | 215 | ლიუბიჩიჩი-მელო | 1.20 | 3.40 |
| 13:00 | 216 | ფერერი-დი მაურო | 1.12 | 4.50 |
| 13:00 | 217 | შტეპანეკი-ალეგრო | 1.08 | 5.50 |
| 13:00 | 218 | შუტლერი-სანგინეტი | 1.55 | 2.10 |
| | | **ჩოგბურთი. კაცები** | | |
| | | **ნიუპორტი** | | |
| | | **ბალახი** | | |
| | | **5 ივლისი** | | |
| 18:30 | 219 | ბლეიკი ჯ.-დიუპუა | 1.50 | 2.20 |
| 18:30 | 220 | ბრაჩიალი-სოლნიერი | 1.55 | 2.00 |
| 18:30 | 221 | დასჩევიჩი-ვიკი | 1.65 | 1.95 |
| 18:30 | 222 | დენტი-დელიჩი | 1.10 | 4.50 |
| 18:30 | 223 | მერტინაკი-რეინოლდსი | 1.55 | 2.20 |
| 18:30 | 224 | მორისონი-კუჩერა | 1.60 | 2.05 |
| 18:30 | 225 | მუდი-ვანგი | 1.70 | 1.90 |
| 18:30 | 226 | მიურეი-კარა | 1.40 | 2.55 |
| 18:30 | 227 | ნორმანი-გოლდშტეინი | 1.55 | 2.20 |
| 18:30 | 228 | ელსნერი-ვასკე | 1.60 | 2.00 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი





# უცნობი არც მთლად უცნობი ყოფილა

„ტურ დე ფრანსის“ ველორბოლამ სტარტი შაბათს აიღო. ველომრბოლელები ფრომენტინის 19 კმ-იანი ტრასის დასაძლევად დაიძრნენ.

ეს ეტაპი ყველაზე მოკლე და ერთ-ერთი ყველაზე ჩქაროსნულია, რადგანაც გზა ერთგვაროვან და სწორ რელიეფზე გადის, ამიტომ სიურპრიზებიც მრავლად გვხვდება ხოლმე და არც წლევანდელი „ტურ დე ფრანსი“ აღმოჩნდა გამონაკლისი.

26 წლის ამერიკელმა დევიდ ზაბრისკიმ სახელიან და ცოცხალ ლეგენდად ქცეულ თანამემამულეს, ლენს არმსტრონგს 2 წამით აჯობა და ფინიშის ხაზი ყველაზე სწრაფად გადაკვეთა.

19 კმ-ის დაფარვა მეცხრამეტე პოზიციიდან რბოლაში ჩართულმა ზაბრისკიმ 20, წუთში და 51 წამში მოახერხა და საშუალოდ საათში 54,676 კილომეტრი სიჩქარე განავითარა.

„ნამდვილად არ ველოდი, ოდესმე თუ გავუსწრებდი არმსტრონგს. ასეთი რამ ვერც კი წარმომიდგენია. ვიცი, რომ არცთუ ცნობილი სპორტსმენი ვარ. ამის მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ 2003 წელს ავტოკატასტროფაში მოვყევი და წარსულში დიდი შედეგები არ მქონია“.



მეორე და მესამე ეტაპის პირველოსანი ტომ ბუნენი



საუკეთესო სპრინტერი ერიკ დეკერი

ზაბრისკი ოდნავ აჭარბებს, არც ისეთი უცნობია... ბოლო 10 თვეში მან „ვუელტა ესპანიას“ ერთ-ერთი ეტაპის და „ჯირო დი იტალიის“ საცდელი დროის მოგება მოასწრო. პირველ შემთხვევაში აშშ-ს ფოსტის გუნდის წევრი გახლდათ, ჯიროზე კი უკვე „CSC“-ის მაისურით გამოდიოდა. დევიდი დღესაც ამ გუნდის წევრია და „ტურ დე ფრანსის“ ლიდერის ყვითელი მაისურით იწონებს თავს.

ლენს არმსტრონგის მთავარ კონკურენტად პირველ ეტაპზე გერმანელ იან ულრიხს მიიჩნევდნენ, თუმცა „ტი-მობილის“ მრბოლელმა მოკრძალებული, მე-12 ადგილის დაკავება მოახერხა და ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც აქვს.

ულრიხს საკუთარი გუნდის ტექდამხმარე პერსონალის მანქანა დაეჯახებია და იმასაც კი არ ვარაუდობდნენ, რომ გერმანელი „ტურ დე ფრანსზე“ მიიღებდა მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, ულრიხმა ორგანიზატორები დაარწმუნა, ტრავმა საშიში სულაც არ არის და ველოსიპედზე ამხედრებას შევძლებო. როგორც ჩანს, უსიამოვნო ინციდენტმა მის ფორმაზე მაინც იქონია გავლენა.

მეორე და მესამე ეტაპებზე, რომლებიც შესაბამისად 3 და 4 ივლისს დაფარეს მრბოლელებმა, ტომ ბუნენი პირველი იყო, თუმცა ბელგიელმა შალანი-ლე ესარის და ლა შატინერი-ტურის ტრასებზე ფინიშის ხაზი მოზრდილ პელეტონთან ერთად გადაკვეთა და საერთო ჩათვლაში ამის გამო კვლავ ზაბრისკი ლიდერობს. მეოთხე ეტაპზე ყვითელი მაისურა სწორედ მას ეცმევა და შეეცდება, ტურიდან ბლუამდე გასავლელი 6,5 კმ წარმატებით დაფაროს.

**ლადო ჭულუკიძე**



რობი მაკიუენი (ავსტრალია) და ტომ ბუნენი (ბელგია)

**პირველი ეტაპი. 2 ივლისი — ფრომენტინი-ნუამუტიე. 19 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | დევიდ ზაბრისკი (აშშ, სი-ეს-სი) | 20 წთ, 51 წმ |
| 2 | ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქავერი) | 02 წმ |
| 3 | ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტი-მობილი) | 53 წმ |

**მეორე ეტაპი, 3 ივლისი — შალანი-ლე ესარი. 181,5 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტომ ბუნენი (ბელგია, ირერგეტიკი) | 3 სთ, 51 წთ, 31 წმ |
| 2 | ტორ ჰუშოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლე) | |
| 3 | რობი მაკიუენი (ავსტრალია, დავიტამონ-ლოდო) | ყველა იგივე დრო |

**მესამე ეტაპი. 4 ივლისი — ლა შატინერი-ტური. 212,5 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტომ ბუნენი (ბელგია, ინერგეტიკი) | 4 სთ, 36 წთ, 09 წმ |
| 2 | პეტერ ვროლიხი (ავსტრია, გეროლშტაინერი) | |
| 3 | სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კოფიდისი) | ყველა იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | დევიდ ზაბრისკი (აშშ, სი-ეს-სი) | 8 სთ, 48 წთ, 31 წმ |
| 2 | ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქავერი) | 02 წმ |
| 3 | ლასლო ბოდროგი (უნგრეთი, კრედედ-აგრიკოლე) | 47 წმ |





პელეტონმა ასე ჩახუტებით გადაკვეთა ფინიში

**ჭადრაკი**

# ასეულში ორი ქართველია

**დიდი** ჭადრაკიდან წასული გარი კასპაროვი ფიდეს რეიტინგში კვლავ პირველ ადგილზეა. რუსი დიდოსტატი სოლიდური უპირატესობით უსწრებს მეორეადგილოსან ვიშვანათან ანანდს და ალბათ ამ ადგილს კიდევ კარგა ხანს ვერავინ შეეცილება.

ათეულში დიდი გადაადგილებები მოხდა. ივანჩუკმა და კრამნიკმა ადგილები გაცვალეს, ხოლო ინგლისელმა მაიკლ ადამსმა მეშვიდე პოზიცია რუს პეტერ სვიდლერს დაუთმო. ათეულში შემოიჭრა ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი სომეხი ლევონ არონიანი. სომეხმა დიდოსტატმა ფიდეს რეიტინგში 2724 ქულა მოაგროვა და ახლა მხოლოდ ხუთი ქულა აშორებს მის წინ მდგომი ბაკროტისგან.

ამ საუკეთესო ასეულში კვლავ ორი ქართველია, ზურაბ აზმაიფარაშვილი და ბადურ ჯობავა. აზმაიფარაშვილი ისევ 32-ე ადგილზეა, ხოლო ჯობავამ 23 საფეხურით ქვემოთ დაიწია და ახლა 86-ეა.

**ლაშა ბებეშქორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 2812 |
| 2 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2788 |
| 3 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2788 |
| 4 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2763 |
| 5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 2752 |
| 6 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 2744 |
| 7 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 2738 |
| 8 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2735 |
| 9 | ეტიენ ბაკროტი (საფრანგეთი) | 2729 |
| 10 | ლევონ არონიანი (სომხეთი) | 2724 |
| 32 | ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) | 2672 |
| 86 | ბადურ ჯობავა (საქართველო) | 2621 |

**ჭიდაობა**

# ლიტვაში ხალიჩა გაიშალა

## ახალგაზრდები თავისუფლად იწყებენ

**დღეს** ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ახალგაზრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. დიდებისგან განსხვავებით ამ ასაკში რვა წონითი კატეგორიაა და ორდღიან ტურნირზეც წონები თანაბრად გადანაწილდება. დღეს ხალიჩაზე 50, 60, 74 და 96 კილოგრამიანი მოჭიდავეები გავლენ, ხვალ კი 55, 66, 84 და +120 კილოგრამიანები.

მწვრთნელების ნუგზარ სხირელისა და ჯონი ლორიას გარდა ნაკრებს ლიტვაში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძეც ახლავს, მსაჯი კი ქართველებს ამჯერად არ გვეყოლება.

ტრადიციულად ყველა საერთაშორისო ტურნირზე, რომელზეც ჩვენი გუნდი გამოდიოდა, მსაჯიც თან ჩაჰყავდა. ეს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნა იყო, თუმცა ამჯერად ფილამ რატომღაც თავი შეიკავა.

სხირელის გუნდი ძირითადად ახალბედებითაა დაკომპლექტებული და მათი მიზანი შარშანწინდელი წარუმატებლობის გამოსწორებაა. წინა მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენმა თავისუფლებმა უშედეგოდ მოიარეს.

ვილნიუსშივე 8-9 ივლისს ხალიჩაზე უკვე ახალგაზრდა ბერძენ-რომაელები გავლენ. ვლადიმერ ადეიშვილის სამწყსო ლიტვაში ხვალ გაფრინდება, მაგრამ საბოლოო შემადგენლობა გუშინ ჯერ კიდევ დაუზუსტებელი იყო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| საქართველოს ნაკრები<br>თავისუფალი ჭიდაობა | |
|---|---|
| 50 კგ | კოკა კოტორაშვილი |
| 55 კგ | მალხაზ ქურდიანი |
| 6? კგ | მალხაზ ზარქუა |
| 66 კგ | მალხაზ მუზიაშვილი |
| 74 კგ | არჩილ ქიტიაშვილი |
| 84 კგ | ნიკო გაგნიძე |
| 96 კგ | ზალიკო მარტიაშვილი |
| 120 კგ | ბაჩანა კარანაძე |

# ცხენის საქმე დასრულდა

**ირლანდიას** ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მოგებული ერთადერთი ოქროს მედალი გუშინ ოფიციალურად ჩამოართვეს. გადაწყვეტილება სინგაპურის „სიტი კონვენშენლ ცენტრში" 117-ე სესიისთვის შეკრებილმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს 15-მა წევრმა მიიღო.

მხედარმა შონ ოკონორმა ოლიმპიადაზე პირად ჩათვლაში იჩემპიონა, თუმც რამდენიმე დღეში მისი ცხენის, უოტერფორდ კრისტელის დოპინგტესტში ტრანკვილიზატორის ჯგუფთან კავშირში მყოფი ორი აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინეს. 24 წლის ირლანდიელი ირწმუნებოდა, რომ ცხენმა ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე მცირე ტრავმა მიიღო და მისთვის ტკივილგამაყუჩებელი წამლების გაკეთება მოუხდათ.

განმეორებითი ანალიზისთვის აღებული სინჯები რამდენიმე თვის წინ პარიზი — ლონდონის გზაზე გაქრა, თუმც ბრალდებულ მხარეს ვერც ამან უშველა. საცხენოსნო სახეობათა ფედერაციისა და ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ოლიმპიური ოქრო ათენში მეორე ადგილზე გასულ ბრაზილიელ მხედარ როდრიგო პესოას გადაეცა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ზურაბ ფოცხვერია
ოჯახით სამძიმარს
უცხადებს დავით კაკაბაძეს
ძმის
**გიგა კაკაბაძის**
გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს
ვუცხადებთ
დავით კაკაბაძეს ძმის
**გიგა კაკაბაძის**
გარდაცვალების გამო

სარბიელელები
თანავუგრძნობთ
ჩვენს თანამშრომელს
გიორგი კაკაბაძეს ბაბუის
**გიგა კაკაბაძის**
გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა
ასოციაცია თანაუგრძნობს
დავით კაკაბაძეს ძმის
**გიგა კაკაბაძის**
გარდაცვალების გამო

**ჩოგბურთი**

# უიმბლდონი 2005

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 10 085 510 გირვანქა სტერლინგი



როჯერ ფედერერის მესამე უიმბლდონური სიხარული

# როჯერ ფედერერი: მირჩევნია მხოლოდ დღევანდელ დღეზე ვიფიქრო

**სპეციალისტთა** ერთსულოვანი პროგნოზის გამმართლებელმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა როჯერ ფედერერმა უიმბლდონის ფინალში ენდი როდიკის დამარცხების შემდეგ ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა და თავის საჩოგბურთო აწმყო-მომავალზე გულახდილად ილაპარაკა. პრესკონფერენციაზე დასმულ კითხვათაგან რამდენიმეს ქვემოთ გთავაზობთ. პირველი კითხვა კი, ცხადია, როჯერის მიღწევას ეხებოდა. იგი ჩოგბურთის ისტორიაში მესამე კაცია, უიმბლდონი სამჯერ რომ მოუგია.

**— 23 წლისამ უკვე სამჯერ მოახერხეთ უიმბლდონზე გაჩემპიონება და ლეგენდარული სპორტსმენების ბიორნ ბორგისა და პიტ სამპრასის შედეგის გამეორება. როგორ ფიქრობთ, გადასწრებასაც შეძლებთ?**

— უპირველეს ყოვლისა, ბედნიერი ვარ, რომ ახლო მომავალში ყველა ტურნირის ფავორიტად დამასახელებენ. მთავარია, არ ვიფიქრო, რომ მართლა ყველგან მოგებული ვიქნები. ჩემს თავში მომავალი წარმატებების ძალას ნამდვილად ვხედავ და იმედია, შედეგსაც მივაღწევ.

**— ენდი როდიკის თქმით, ფინალში მის შანსებს ის ზრდიდა, რომ თქვენ გამარჯვებებით გადაიღალეთ. მისი იმედი არ გამართლდა, მაგრამ ხომ შეიძლება, ოდესმე ფსიქოლოგიურად მართლაც გადაიღალოთ?**

— ახლო მომავალში ასეთ რამეს გამოვრიცხავ.

**— შარშანდელი გაჩემპიონებისას ემოციები დიდად არ გამოგიხატავთ, წლეულს კი სიხარულისგან ყვიროდით...**

— ცდებით. უიმბლდონის მეორედ მოგებაც ყვირილით გამოვხატე, მაგრამ ამჯერად მაინც რაღაც უცნაური და განსაკუთრებული გრძნობა მქონდა. სიმართლე გითხრათ, ბოლომდე ჯერაც არ აღმიქვამს ყველაფერი. ვინ იცის, ამისთვის იქნებ თვეები და წლებიც დამჭირდეს.

**— თანამედროვე ჩოგბურთში არაერთი ტალანტია, მაგრამ თქვენ ყველასგან სტაბილურობა გამოგარჩევთ. ამას რით ახსნით?**

— ალბათ საქმე ისაა, რომ ადრე ძალიან ბევრი მოსაგები შეხვედრა წავაგე. ახლა ის იმედგაცრუება ბედნიერ წუთებად მიბრუნდება — არის ხოლმე მატჩები, რომლებშიც ოპონენტზე ძლიერი არ ვარ, მაგრამ მაინც ვუგებ. საერთოდ კი, როცა უიმბლდონს ზედიზედ მესამედ იგებ, თავადაც გიჩნდება ინტერესი: რას აკეთებ ისეთ განსაკუთრებულს, რომელსაც მსგავსი შედეგები მოაქვს.

**— როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია დღეს, ფინალში რომ დამარცხებულიყავით?**

— ასეთ დღეში არაერთხელ აღმოვჩენილვარ. როდიკის ადგილას რომ ვიყო, ძალიან არ განვიცდიდი მარცხს, მისმა მეტოქემ ხომ მართლაც უძლიერესად ითამაშა. ამ სიტყვებით სულაც არ მინდა, ენდის საფინალო გარჯა დავაკნინო. სეტების ჯამში 3:0 რომ მოვიგე, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩემპიონობა ადვილად არ მომიპოვებია. ღმერთმა უწყის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მეორე სეტის გადამწყვეტი ტაიბრეიკი როდიკის სასარგებლოდ რომ დასრულებულიყო.

**— თუკი ასეთივე შემართებით გააგრძელებთ, მალე სერიოზული მოწინააღმდეგის გარეშე შეიძლება დარჩეთ. ამაზე არ გიფიქრიათ?**

— ჯერ ამაზე ფიქრი არ მსურს. მირჩევნია, მხოლოდ დღევანდელ დღეზე და მიმდინარე ტურნირზე გავაკეთო კონცენტრირება. თითოეულ, თუნდაც ნაკლებმნიშვნელოვან თამაშზე გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ და იმედია, მომავალ უიმბლდონზეც ხეირიანად მოჩოგნავე ფედერერს იხილავთ.



'წყვილთა თანრიგის ფინალში რუსმა სვეტლანა კუზნეცოვამ ფრანგ ამელი მორესმოსთან ერთად კარა ბლეკ (ზიმბაბვე) — ლიზელ ჰუბერის (სამხრეთ აფრიკა) „დუეტს" სძლია



შერეულ თანრიგში ჩემპიონი გახდა ფრანგი მარი პირსისა და ავსტრალიელი პოლ ჰარლის წყვილი



ნიუიორკელთა „დესანტი“ სინგაპურში

AFP სინგაპურიდან



პარიზელთა გუნდი წინასწარ ზეიმობს გამარჯვებას

# მზერა სინგაპურისკენ

**წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის შერჩევასთანაა დაკავშირებული, ფინიშის სწორზე გავიდა. კენჭისყრა გაიმართება ხვალ, 6 ივლისს სინგაპურში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე, რომლის საზეიმო გახსნაც დღეს მოეწყობა.**

ალბათ ზედმეტია, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის შეგახსენებთ, რომ ამ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ფინალურ ეტაპზე შემორჩენილია ხუთი ქალაქი: პარიზი, ლონდონი, მადრიდი, ნიუ იორკი და მოსკოვი.

ამ ქალაქთაგან ფავორიტი, მოგეხსენებათ, პარიზია. მისი საგანაცხადო კომისიის წევრები ძალზე უკმაყოფილონი არიან იმ განცხადებით, რომელიც ლონდონის პრესკონფერენციაზე გაჟღერდა იმასთან დაკავშირებით, თითქოსდა პარიზის სტადიონი „სტად დე ფრანსი“ შეუფერებელია მძლეოსანთა შეჯიბრებისთვის.

პარიზელთა უკმაყოფილება, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ამ განცხადებასთან დაკავშირებით ოფიციალური პროტესტი არ გამოთქვან, სრულიად გასაგებია — „სტად დე ფრანსს“ პარიზის განაცხადში ცენტრალური ადგილი უკავია.

ის, რომ „სტად დე ფრანსი“ მძლეოსანთა შეჯიბრებისთვის იდეალური არ არის, განაცხადა ჯიმ სლოიმანმა, ვინც სიდნეის ოლიმპიური თამაშების მთავარი ორგანიზატორი იყო და არქიტექტორმა როდ შერგმა. მიუხედავად იმისა, რომ პარიზი ოფიციალურად საჩივარს არ წარადგენს, ამ ინციდენტმა საგანაცხადო კომიტეტების წარმომადგენლებს შეახსენა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეთიკური ნორმების მკაცრი დაცვა, რომელიც კრძალავს მეტოქეთა გეგმების კრიტიკას.

ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ტონი ბლერი, რომელიც სინგაპურში კვირას ჩავიდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებთან მართავს მთელ რიგ შეხვედრებს, რათა ისინი დაარწმუნოს ლონდონისთვის თავიანთი ხმების მიცემაში.

ტონი ბლერს ამ საქმეში ეხმარება მისი მეუღლე ჩერი ბლერი. ჩერი ბლერი ლონდონის დასკვნით პრეზენტაციას წარმოადგენს, ტონი ბლერი კი სინგაპურში კენჭისყრაზე არ დარჩება, რადგან ოთხშაბათს იგი უკვე უნდა იყოს შოტლანდიაში, სადაც დიდი რვიანის სამიტი ეწყობა.

ბლერისგან განსხვავებით, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი საკვანძო როლს შეასრულებს პარიზის საფინალო პრეზენტაციაზე და მხოლოდ ამის მერე გაფრინდება შოტლანდიისკენ.



ტონი ბლერი მეუღლითურთ ეხმარება ლონდონს

AFP სინგაპურიდან



ჟაკ როგი

მადრიდის მხარდასაჭერად ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი ბოლო დღეებში ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთ არაბეთისა და ევროპის ქვეყნებში აწარმოებდა პირად შეხვედრებს.

როგორც გაზეთი „პაისი“ სამეფო სასახლის კანცელარიიდან გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, ხუან კარლოსი, რომელიც თავადაც შესანიშნავი სპორტსმენია და მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოლიმპიურ მოძრაობასთან, თავის კავშირებს კარგად იყენებს.

სინგაპურში ესპანეთის დელეგაციის მეთაური იქნება ამ ქვეყნის დედოფალი სოფია. იგი ორი დღის წინ ჩაფრინდა სინგაპურში და სიტყვით გამოვა სოკ-ის დასკვნით სხდომაზე, სადაც შეეცდება მადრიდის დაცვას.

ესპანელთა გააქტიურება მადრიდის მხარდასაჭერად განსაკუთრებით მას მერე შეიმჩნევა, რაც ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოიმუშავა კონფიდენციალური მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ მადრიდს წარმატების მისაღწევად რეალური შანსი აქვსო.

სინგაპურში ჟურნალისტებთან შეხვედრისას დედოფალმა სოფიამ თქვა:

„გამარჯვება, მართალია, ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ მადრიდი ამ პატივს მოიპოვებს, რადგანაც მას აქვს სპორტული შეჯიბრებებისა და კულტურული ღონისძიებების გამართვის უდიდესი გამოცდილება“.

სინგაპურში გაფრენამდე მადრიდში სამეფო სასახლის მოედანზე გაიმართა საზეიმო ღონისძიება, სადაც იუნესკოს მიერ მსოფლიოს კულტურულ ცენტრებად მიჩნეული ესპანეთის ათი ქალაქის წარმომადგენლებმა გამოხატეს მადრიდისადმი თავიანთი მხარდაჭერა.

დღეს სინგაპურში ჩადის ესპანეთის დელეგაციის მეთაური, ამ ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარე ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო. ესპანეთის დელეგაციაში არიან მადრიდის მერი ალბერტო რუის კაპალდონი, სოკ-ის ყოფილი პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხოსე მარია ეჩევერია. აგრეთვე ცნობილი სპორტსმენები, მათ შორის ფეხბურთელი რაული, ველომრბოლელი მიგელ ინდურაინი და ჩოგბურთელი არანჩას სანჩეს ვიკარიო.

სინგაპურში მოსკოვს წარმოადგენს რუსეთის პრემიერმინისტრი მიხაელ ფრადკოვი. მასთან ერთად მოსკოვს აგიტაციას გაუწევენ ოლიმპიური ჩემპიონები, ჩოგბურთელი ევგენი კაფელნიკოვი, ტანმოვარჯიშე ალექსეი ნემოვი, მოცურავე ალექსანდრ პოპოვი, აგრეთვე ოვრამეტი მედლის მფლობელი, ტანმოვარჯიშე ლარისა ლატინინა და ფიგურული ციგურაობის ვეტერანი, სამგზის ჩემპიონი ირინა როდნინა.

ქალაქ-კანდიდატთა მხარდამჭერების ძირითადი ჯგუფები გუშინ ჩავიდნენ სინგაპურში, ხოლო 117-ე სესია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დღეს გაიხსნება.

სოკ-ის პრეზიდენტ ჟაკ როგის ვარაუდით, გამარჯვებული ქალაქის ბედს სულ რამდენიმე ხმა გადაწყვეტს.

პარიზი იმთავითვე ითვლებოდა გამარჯვების ფავორიტად, ლონდონი და მადრიდი კი მას რამდენადმე ჩამორჩებოდნენ. ბუქმეიკერთა აზრით, ბოლო ხანებში ესპანეთისა და ბრიტანეთის დედაქალაქებმა პარიზთან ჩამორჩენა საკმაოდ შეამცირეს.

ხვალ თითოეული კანდიდატი ქალაქი თავისი განაცხადის 45-წუთიან პრეზენტაციას წარმოადგენს. ამის მერე სოკ-ის წევრები მოისმენენ შემფასებელი კომისიის მოხსენებებს. ამა მოჰყვება კენჭისყრა, რაც შედეგების გამოცხადებით დასრულდება.

მოსკოვისა და მადრიდისა არ იყოს, სხვა კანდიდატ ქალაქებსაც მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები უჭერენ მხარს. მაგალითად, ლონდონს ჰყავს ფეხბურთელი ბექჰემი, ნიჩბოსნები სერ სტივენ რედგრეივი, სერ მეტიუ ინსენტი.

პარიზის განაცხადს მხარს უჭერს ფეხბურთელი ლორან ბლანი, ნიუ იორკს — მოკრივე მუჰამედ ალი... თუმცა, ეს ჩამონათვალი სრული სრულებითაც არ არის და თითოეული სახელგანთქმული სპორტსმენის ხსენება შორს წაგვიყვანს.

ასეა თუ ისე, ამ ცნობილ სპორტსმენებს ეკრძალებათ აქტიური აგიტაცია. ამიტომაც ძირითადი დრო ეთმობათ საგანაცხადო კომიტეტების წევრებს, რომლებიც ორი წლის განმავლობაში თავიანთ პროექტებზე მუშაობდნენ.

ხვალამდე მათ ჯერ კიდევ აქვთ დრო, რომ სოკ-ის წევრები დაარწმუნონ სწორედ მათი ქალაქების უპირატესობაში და მათთვის ხმის მიცემის სისწორეში.

კენჭისყრის შედეგები გაცხადდება გრინვიჩის დროის 12 საათსა 46 წუთზე, თბილისის დროით კი 16 საათსა და 46 წუთზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს სოკ-ის 99 წევრი. სოკ-მა უკვე გამოაქვეყნა იმათი სია, რომლებიც კენჭისყრის პირველ ეტაპზე მონაწილეობას ვერ მიიღებენ, ასეთი კი 17 კაცი აღმოჩნდა. მათ შორისაა თავად სოკ-ის პრეზიდენტი, ბელგიელი ჟაკ როგი და მონაწილე ქვეყნებიდან სოკ-ის წევრები. მაგალითად, რუსეთიდან კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ: ვიტალი სმირნოვი, შამილ ტარპიშევი და ალექსანდრ პოპოვი. ბოლო ტურში ის ქვეყნები, რომელთა ქალაქებიც ბრძოლას გამოეთიშებიან, კენჭისყრაში მონაწილეობას შესძლებენ. აი, სოკ-ის საპატიო პრეზიდენტს, ხუან ანტონიო სამარანს კი ასეთი უფლება არა აქვს.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# სარინგო ტრაგედიის ახალი დეტალები



რუსტამ ნუგაევი (მარცხნივ)

**რუსი მოკრივე რუსტამ ნუგაევი ირიბად დამნაშავეა მექსიკელი მეტოქის მარტინ სანჩესის სიკვდილში, რომელიც ორთაბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა.**

**როგორც გუშინდელ „სარბიელში" ვიუწყებოდით, ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სანჩესი თავის ტვინის ტრავმის შედეგად გარდაიცვალა თუმცა ნუგაევს ამისთვის არავინ დაადანაშაულებს.**

**ბრძოლა შაბათს ლას ვეგასში შედგა და 26 წლის მექსიკელი მოკრივე მარტინ სანჩესი, რომელიც წინა სალამოს რუსმა რუსტამ ნუგაევმა ნოკაუტში ჩააგდო, საავადმყოფოში გარდაიცვალა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მექსიკელი ცალმხრივად გაილახა თითქმის ცხრა რაუნდის განმავლობაში სანამ იგი ნოკაუტში ჩავარდებოდა. ამის მიუხედავად, ყველას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ მექსიკელი ნოკაუტიდან გამოვიდა. მან მეტოქეს გამარჯვებაც კი მიულოცა და გასახდელისკენ საკუთარი ფეხით წავიდა.**

**ყოველივე** ამასთან დაკავშირებით ახლა ცნობილი ხდება საინტერესო დეტალები. თავდაპირველად ნუგაევისა და სანჩესის შეხვედრა საკმაოდ თანაბარ ბრძოლაში დაიწყო, მაგრამ დაახლოებით მესამე რაუნდიდან ინიციატივას მთლიანად დაეუფლა რუსი მოკრივე. მიუხედავად ამისა, მაინც გადაჭარბებულია იმის თქმა, რომ მუშტები მხოლოდ ერთი მიმართულებით — მექსიკელისკენ მიდიოდა. სანჩესი ბოლომდე ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას. ნოკაუტამდე არავის არ უფიქრია, რომ მის ჯანმრთელობას რაიმე საფრთხე ემუქრებოდა.

„ამ რუს ბიჭს, კაცმა რომ თქვას, არა აქვს ისეთი ძლიერი დარტყმა — ამბობს ნევადის შტატის ათლეტური კომისიის მეთაური მარკ რატნერი, რომელიც ამ ბრძოლას ესწრებოდა — ბრძოლა ცალმხრივი არ ყოფილა. მართალია, სანჩესი არასაკმარისად ირჯებოდა იმისთვის, რათა რაც შეიძლება მეტი რაუნდი მოეგო, მაგრამ იგი მაინც იბრძოდა. ვიმეორებ, რუსი მოკრივე სულაც არ არის მკვეთრად გამოხატული ნოკაუტის ოსტატი და ამიტომაც ასეთ დასასრულს ვერაფრით წარმოვიდგენდი".

მეცხრე რაუნდის დასაწყისში ნუგაევმა სანჩესი კუთხესთან მარჯვენა პირდაპირი დარტყმით მიაგდო. მექსიკელი ბაგირებს ქვემოთ თავის კუთხესთან ახლოს დავარდა, მაგრამ ერთ-ერთმა რეპორტიორმა მას ხელი შეაშველა, რათა რინგიდან არ გადავარდნილიყო. სანჩესი კვლავ რინგისკენ გადმოქანდა და განერთხო. მერე მუხლებზე წამოდგა და დაელოდა რეფერის ცხრამდე დათვლას.

სანჩეს სავარაუდოდ ცხვირი გაუტყდა. აგრეთვე მას ჰქონდა დასისხლიანებული ტუჩები, მაგრამ სხვა შესამჩნევი ტრავმა ვერავინ დაინახა.

სანჩესი დაახლოებით სამი წუთით ჩამოჯდა რინგზე თავის კუთხეში, მერე წამოდგა, მაყურებლებს მიესალმა და გასახდელისკენ გაემართა. იგი ორჯერ შეამოწმეს ექიმებმა, პირველად უშუალოდ რინგზე, ნოკაუტის შემდეგ, მერე კი გასახდელშიც, მაგრამ მათ საეჭვო ვერაფერი დაადგინეს. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ ნევადის ათლეტური კომისიის ინსპექტორმა შეამჩნია, რომ სანჩესი რაღაც უცნაურად მოძრაობდა.

მოწვეულმა ექიმმა აღნიშნა სანჩესის გაფართოებული თვალის გუგები. ამიტომაც მოკრივე უმალ ადგილობრივი საავადმყოფოსკენ გააქანეს, სადაც მას სასწრაფოდ თავის ტვინის ოპერაცია ჩაუტარეს.

ქირურგებმა მას ამოკვეთეს დიდი სუბდურალური გემატომა (თავის ტვინის გარსში სისხლის შედედება). ქირურგებმა აღმოაჩინეს აგრეთვე ტვინის მძიმე დაზიანება, ბოლოს სანჩესი რეანიმაციაში გადაიყვანეს, სადაც მეორე დილით 11 საათზე გარდაიცვალა.

ჯერჯერობით უცნობია, მარტინ სანჩესის სიკვდილი უშუალოდ ნუგაევთან ბრძოლისას მიღებულმა ტრავმამ განაპირობა, თუ მას თავის ტვინი მანამდეც ჰქონდა დაშავებული. ექიმების აზრით, მეორე ვარიანტი უფრო ახლოა სინამდვილესთან, მაგრამ ახლა ჭეშმარიტების დადგენა მეტად ძნელი იქნება.

საინტერესოა, რომ თავის დროზე ნუგაევს ზედმეტ სიფრთხილეს უკიჟინებდნენ და მეტისმეტად „რბილ" კრივში „ადანაშაულებდნენ". 2002 წლის 4 თებერვალს ნუგაევი მსაჯთა გადაწყვეტილებით ამერიკელ ხაირო რამირესთან დამარცხდა.

მაშინ რუსტამის ამერიკელმა მენეჯერმა ედუარდ გუმაშიანმა თქვა:

„ნუგაევის დაუშვებელი შეცდომა ის იყო, რომ ოპონენტი დაინდო. როცა ის პრაქტიკულად ნოკაუტში ჩავარდა, მაგრამ ამ დროს რუსი შეჩერდა. არადა, ჩვენ ვაფრთხილებდით რუსტამს, რომ საჭირო იყო მეტოქის ნოკაუტში ჩაგდება, მაგრამ ყურად არ იღო. ამიტომ მან სერიოზულად უნდა იფიქროს იმაზე, რომ საჭიროა გამოიმუშაოს ეს „მკვლელის" ინსტიქტი.

სულ ბოლოს მოკრივის სიკვდილი ერთი თვის წინათ აღინიშნა მოყვარულთა შორის. დენვერში მოკრივე ქალთა ტურნირზე (COLIRADO GOLDEN GLOVES) პირდაპირ რინგზე დაიღუპა 34 წლის ამერიკელი ბეკი ზერლენტესი.

ამ უბედურმა ჰიზერ შმიცის წინააღმდეგ ბრძოლაში საშინელი დარტყმა გაუშვა თავში და პირდაპირ რინგზე დავარდა. ექიმები ცდილობდნენ მის გადარჩენას, მაგრამ სპორტსმენი გონსმოუსვლელად რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

შეჯიბრების წესების თანახმად ზერლენტეს დამცავი ჩაფხუტი ეხურა, მაგრამ ამანაც კი ვერ შეძლო ძლიერი დარტყმის შერბილება. მანამდე ზერლენტესმა ათი შეხვედრა გამართა, რომელთაგან ექვსში დამარცხდა.

USA BOXING-ის მონაცემებით, რომლის ეგიდითაც ამერიკაში მოკრივე ქალთა ბრძოლები ტარდება, ეს ტრაგიკული აღსასრული პირველი შემთხვევა იყო, როცა რინგზე ქალი დაიღუპა.

ვაჟთა შორის, „მოყვარულებში" ბოლოს სიკვდილით დამთავრდა სპრინგფილდში გამართული ბრძოლა, რომელშიც 31 წლის მძიმეწონოსანი ვინ კვინტონ გრიერი დაიღუპა.

პროფესიონალთა შორის მოკრივის სიკვდილი შარშანდელი წლის ბოლოს დაფიქსირდა. მაშინ კოლუმბიელი მსუბუქი წონის მოკრივე კარლოს მესა ნოკაუტში ჩავარდა და ოთხი დღის მერე გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. 26 წლის კოლუმბიელი პანამელ რიკარდო კორდობასთან ბრძოლისას მეთორმეტე რაუნდში დავარდა რინგზე.

მესასთვის ეს ბრძოლა მხოლოდ მეცხრე იყო, რომელსაც იგი პროფესიონულარ რინგზე ატარებდა. მანამდე მან რვავე შეხვედრა მოიგო, მათგან შვიდი ნოკაუტით. კორდობასთან ბრძოლის წინ იგი WBA-ს რეიტინგში, მჩატე წონაში მეთოთხმეტე იყო.

**ავთანდილ ბუციშვილი**

# თომას ჰირნსს ხელები აქავებია

**მსოფლიოს** ექსჩემპიონი ხუთ წონით კატეგორიაში თამას ჰირნსი, რომელიც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ 30 ივლისს რინგს უბრუნდება, შეხვდება ნაკლებად ცნობილ ამერიკელ ჯონ ლონგს. ისინი პირველ მსუბუქ წონაში იკრივებენ, რომელშიც ჰირნსი თავისი კარიერის ბოლო წლებში გამოდიოდა.

რინგზე დაბრუნებასთან დაკავშირებით თავად ჰირნსი ამბობს, რომ ეს [illegible]ირად არაა დაკავშირებული ფინანსურ პრობლემებთან, რომელიც სულაც არ აწუხებს. მისი თქმით, ჰირნსს, უბრალოდ, კრივის შინაგანი მოთხოვნილება აქვს.

„შინაგანად ძველებური ცეცხლი მაწუხებს. მე იგივე გრძნობა მაქვს, როგორიც კრივის დასაწყისში მქონდა. მე კვლავ მინდა რინგზე ბრძოლა, რადგან ვიცი, რომ [illegible] დამამშვიდებს და გამაბედნიერებს.

# ჯენტლმენი ქალის ცემით იმუქრება



ენ ვულფი



ჯეიმს ჯონსონი

## ენ ვულფი ქალი კი არა, სანახევროდ კაცია

**როგორც** ვიუწყებოდით, 20 აგვისტოს ამერიკის ქალაქ ბილოკსიში დაგეგმილია მამაკაცი მოკრივისა და დედაკაცი მოკრივის ორთაბრძოლა.

შეგახსენებთ, რომ მას მერე, რაც ენ ვულფმა განაცხადა, საყოველთაოდ აღიარებული უძლიერესი მოკრივე ქალი ჩემს წონით კატეგრიაში ლეილა ალი ჩემთან შეხვედრას გაურბისო, გადაწყვიტა, რინგზე მოკრივე მამაკაცს ებრძოლოს, რაკიღა მას კონკურენტი ქალი აღარ დარჩა.

ვულფის მეტოქედ შეირჩა მეორე ეშელონის გამოცდილი მოკრივე ჯეიმს ჯონსონი, რომელსაც ზედმეტსახელად „ჯენტლმენი" ჰქვია.

ჯონსონმა ინტერვიუში განაცხადა:

„მე ვერაფრით დავთანხმდებოდი ქალის წინააღმდეგ ბრძოლას. ცხოვრებაში ქალისთვის ხელი არ დამიკარებია, მაგრამ მე მოკრივე პროფესიონალი ვარ, ენ ვულფმა კი საბრძოლველად გამომიწვია. ჰოდა, როგორც პროფესიონალს, რაღა დამრჩენია? მე ჩემს ცოლს მოვეთათბირე, იმან კი მითხრა, წადი და ის ქალი ისე მიტყეპე, რომ ჭკუა ისწავლოსო. ასე რომ, ამ ბრძოლაზე მე თავისებური ნებართვა მაქვს. მას მერე, როცა ენ ვულფს მართლაც მივტყეპავ, იქნებ მერე ყველანი მიხვდნენ, თუ რატომ არ არის საჭირო რინგზე ქალისა და კაცის ჩხუბი".

კითხვაზე, ქალის წინააღმდეგ შენი ბრძოლა უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს თქვენს საკრივო კარიერაზეო, ჯონსონმა უპასუხა:

„მე რომ ქალთან დავმარცხდე, რა თქმა უნდა, ჩემს კარიერას წერტილი დაესმება. მაგრამ მე არ შემიძლია დამარცხება. ყველა ამბობს, რომ ენ ვულფი სანახევროდ კაცია და რომ იგი ძლიერად ურტყამს, მაგრამ ყველას ავიწყდება, რომ ეს ყველაფერი სხვა ქალებთან შედარებითაა. მაგრამ მე კაცი ვარ, მე მასზე ღონიერი ვარ, ჩემი დარტყმები გაცილებით ძლიერია და სხვის დარტყმასაც უკეთ ვიტან, ვიდრე ის ქალი."

ჯონსონმა ისიც თქვა, რომ ჩემს საწვრთნელ პროცესში არავითარ ცვლილებას არ შევიტან და სპარინგებსაც მამაკაცთა წინააღმდეგ ჩავატარებ და არა ქალებთანო.

„მართალი რომ გითხრათ, მე სრულებითაც არ მჭირდება ვარჯიშებზე ოფლის ღვრა, რათა ენ ვულფის წინააღმდეგ მოვემზადო. ენ ვულფი სანახევროდ მომზადებულ მამაკაცსაც კი ვერ აჯობებს".

ამასობაში, მანამ ეს ქალი და კაცი ერთმანეთისთვის მუშტებს ილესავენ, მათი ბრძოლის მომავალი საფრთხის წინაშე დადგა.

საქმე ისაა, რომ ბევრს არ მოსწონს ჯეიმს ჯონსონის საკრივო დამსახურებათა ნუსხა: 20 გამარჯვება და 14 დამარცხება. ამ ჯონსონისა და ვულფის შეხვედრის ტელეგადაცემათა ორგანიზატორები, რომლებსაც ამ ბრძოლის ტრანსლაციისთვის ფასი დაუდიათ, ითხოვენ ჯონსონის შეცვლას სხვა მოკრივით, რომელსაც მეტი წარმატებები ექნება. ტელეკომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ენ ვულფის შეხვედრა ნაკლებად ცნობილ მოკრივე მამაკაცთან გავლენას მოახდენს ტრანსლაციის გაყიდვაზე. ამას გარდა, შესაძლოა შეიცვალოს ბრძოლის თარიღიც. ფიქრობენ, რომ შეხვედრა 20 აგვისტოდან საორიენტაციოდ 15 ოქტომბრისთვის გადაიწევს.

**ავთანდილ ბუციშვილი**



AFP სტრაფანიდან

# ბახ!

ირლანდიაში ევროპის ღია პირველობაა გოლფში და ერთი საშიშარი და სასაცილო ამბავიც მოხდა: სამხრეთაფრიკელ ტრევორ იმელმანის ყვანჯდაკრული ბურთი მხცოვან მარშალ ალტონ კეროვანს შიგ შუბლში მიასკდა. მოხუცს მოუარეს, იმელმანმა კი ღიმილით მოუბოდიშა.



# სერ ბობი სამხრეთში

ლუიშ ფიგუშ რომ თავისი საფეხბურთო სამეგობრო ვილამორასა და ფაროში შეყარა, იქ ამხანაგური თამაშიც გაიმართა და ორთავან ერთი გუნდის მწვრთნელად სერ ბობი რობსონიც იყო. ვილამორაში, სალაღობო გოლფზე, სერ ბობიმაც გაილაღა.




AFP ვილამორადან

# მტვრიანი ვარსკვლავი და გოგონა

ალმეირაში, სამხრეთ ესპანეთში გრძელდება მეთხუთმეტე ხმელთაშუაზღვური თამაშები. ამ ცხენს მტვრიანი ვარსკვლავი ჰქვია, მისი ჩაუქი მხედარი კი ფრანგი ტიერი როზიე გახლავთ. იქვე, ტანვარჯიშის დარბაზში კი გრაცია სუფევს, ესპანელი ესტერ ესკოლარი ბურთით გამოდის.



AFP ალმეირიდან



ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ

გამომცემელი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲞᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
მთავარი რედაქტორი ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
პასუხისმგებელი რედაქტორი ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ
sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
http://www.sarbieli.com.ge